ყოველდღიური გაზეთი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, ხელმძღვანელი 10—56, მთ. კონტორის—3—31.

ხუთშაბათი, 2 ნოემბერი 1933 წ. № 253 (3809)

ბოლშევიკური მზრუნველობა მუშის საცხოვრებელ ბინაზე

ჩვენი ქვეყნის სამმა ქალაქმა: გორლოვკამ, იაროსლავლმა და ტულამ დაიწყო შეჯიბრება მუშათა კულტურულ - საყოფაცხოვრებო მომსახურების უკეთ დაყენებისათვის. სამი უდიდესი სამრეწველო ოლქის: დონბასის, მოსკოვის და ივანოვოს ოლქის სამმა ქალაქმა იკისრა ურთიერთი ვალდებულება დაკვრითი წესით შეასრულოს ამხ. სტალინის ერთერთი ისტორიული პირობა — მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ, — გამოიწვია საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქი. კადიევკა, მაკეევკა, სტალინო, ვორონეჟი, კიზელი, ენაკიევო — დიდი და პატარა მუშათა ქალაქებიდან ღებულობენ პასუხს შეჯიბრების ინიციატორები. მოსკოვის და ლენინგრადის შემდეგ, რომლებმაც საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს საქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქციის და კეთილმოწყობის საქმეში, ჩვენს ქვეყანაში იწყება მასობრივი ლაშქრობა რიგიანი ბინისათვის, კულტურული ცხოვრებისათვის. მეტალურგიაში, ქვანახშირის მრეწველობაში, ტრანსპორტზე, ახალმშენებლობებზე სწარმოებს, თუმცა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად, ქარხნების, საამქროების, ბრძმედების, მარტენების, მაღაროების, რკინის გზების მომზადება ზამთრისათვის, მაგრამ ეს მომზადება სრული ვერ იქნება, თუ მუშათა ბინები ზამთრისათვის თავისდროზე არ იქნება მომზადებული. პარტიულმა კომიტეტებმა, სამეურნეო მუშაკებმა, პროფკავშირებმა, კომკავშირის ორგანიზაციებმა ამჟამად, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, უნდა იქონიონ მხედველობაში ის, რაც არაერთხელ აღუნიშნავს ამხ. კაგანოვიჩს თავის გამოსვლებში. „ჩვენ ისე უნდა ვაწარმოოთ მთელი ჩვენი მიმდინარე საამშენებლო მუშაობა საქალაქო მეურნეობაში, რომ უფრო უკეთ გავუწიოთ მომსახურება მუშებს და მშრომელ მასებს — დავიცვათ მათი ჯანმრთელობა, მივცეთ საცხოვრებელი ბინები მუშებს, უზრუნველვყოთ მათი კულტურული განვითარება, უზრუნველვყოთ მოსახლეობა იმით, რაც ელემენტარულ საჭიროებას წარმოადგენს: წყლის მიწოდებით, განათებით, გათბობით, კანალიზაციით, ქალაქის სისუფთავით“. შევაკეთოთ სახლები, გავათბოთ ისინი, შევამოწმოთ წყალსადენის და კანალიზაციის ქსელი.

საცხოვრებელი ბინების მომზადება ზამთრისათვის წარმოადგენს გორლოვკასა, ტულასა და იაროსლავლს შორის გამართული შეჯიბრების ერთერთ ცენტრალურ პუნქტს. გორლოვკელებმა იკისრეს გეგმის მიხედვით შეაკეთონ მეოთხე კვარტალში მუშათა 612 ბინა სარდაფებით და სხვა დამხმარე ნაგებობებით და, წინათ დასახულ გეგმის გარდა, კიდევ 488 ბინა. მიაწოდონ მოსახლეობას სათბობი მასალა. ტულელებმა გადასწყვიტეს დაამთავრონ 59 სახლი, შეაკეთონ 111 სახლი და 218 საერთო საცხოვრებელი. იაროსლაველებმა იკისრეს მისცენ შვიდ ათას მუშას ახალი ბინები, სავსებით დაამთავრონ საცხოვრებელი ბინების რემონტი 264 საბინაო - საიჯარო ამხანაგობაში, შეაკეთონ საცხოვრებელი კორპუსები ფაბრიკა „კრასნი პერეკოპთან“. გადააკეთონ ბინებად რეზინოკომბინატის 32 ბარაკი. აღნიშნული ქალაქების პროგრამა შეიცავს აგრეთვე საბავშო ბაღების, ბაგების, საავადმყოფოების, კლუბების და წითელი კუთხეების რემონტს. გვიან მოკიდეს ამ საქმეს ხელი შეჯიბრებაში ჩაბმულმა ქალაქებმა, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც ენერგიულად კიდებენ ხელს ზამთრისათვის ბინების მომზადების საქმეს, მალე აღწევენ დადებით შედეგებს. სახურავის შეკეთება, მინების ჩასმა, კარების ჭუჭრუტანების დაცობა, კედლების შეთეთრება, საზამთრო ჩარჩოების ჩასმა, ღუმელების და საკვამლე მილების გასწორება, საპირფარეშოების და სარდაფების გაწმენდა, საკუჭნაოს, სამზარეულოს, ჭერის შეკეთება, ორთქლით გათბობის შემოწმება, წყალსადენის მილების შეფუთვა — ეს საქმე არ მოითხოვს დიდ ხარჯებს. ის, რაც არ გაკეთებულა ზაფხულში, ჯერ კიდევ შეიძლება გაკეთდეს და უნდა გაკეთდეს ახლა. აიღეთ გორლოვკა. იქ რამდენიმე დღეში შეაკეთეს ასეული ბინები, გაყავთ ტრამვაი, აშენებენ პარკს. აიღეთ კადიევკა. იქ ერთი თვის განმავლობაში შეაკეთეს 807 ბინა, 48 საერთო სამზარეულო, 450 სარდაფი, 100 სარაია. აიღეთ იაროსლავლი. 500 მუშამ რამდენიმე დღეში შეაკეთა რეზინის კომბინატის ბარაკები. რატომ აღწევენ აქ ასე სწრაფად ასეთ წარმატებებს? იმიტომ, რომ ამ ქალაქებში ზამთრისათვის ბინების მომზადებას ხელი მოკიდეს პარტიულმა ორგანიზაციებმა. იმიტომ, რომ მათ განამტკიცეს საქალაქო საბჭოები. იმიტომ, რომ კომუნალური განყოფილებები უფერული კანცელარიებიდან გადააქციეს ბინის ქირის შემგროვებლებად, ქალაქის კეთილმოწყობის შტაბებად. იმიტომ, რომ ისინი ეყრდნობიან მასების — მუშების, მოსამსახურეების და მათი ცოლების ფართო ინიციატივას.

ახლა ვნახოთ, სოციალისტური ქალაქების მშენებლობაში მონაწილეობის როგორი ახალი ფორმები წამოაყენეს თვით მასებმა. დონბასში ქმნიან ქუჩის კომიტეტებს. ისინი ხელმძღვანელობას უწევენ კეთილმოწყობას. ისინი რაზმავენ თვით მობინადრეებს ბინების რემონტისათვის, ისინი აწყობენ შაბათობებს ფილაქნების, დაგებისა და ეზოების გაწმენდისათვის. კადიევკაში ეწყობა ხარისხის საზოგადოებრივი კომისიები. ისინი უკან მიჰყვებიან დურგლებს, კედლის მგლესავებს, მესახურავეებს, მინების ჩამსმელებს და ამოწმებენ მშენებლობის და სახლების რემონტის ხარისხს. იაროსლავლში ეწყობა სოციალისტური ურთიერთდახმარების ჯგუფები. რეზინის ახალი კომბინატის მუშებს ქარხანა, „პობედა რაბოჩის“ დამკვრელები, ლუჩინის, კარასევის, ხმელნიჩენკოს ბრიგადა უშენებენ სარაიას შეშის დასაწყობად, ხოლო ელექტროცენტრალის დურგლები რვა დღის განმავლობაში აკეთებდენ იატაკს საერთო საცხოვრებლებში, იაროსლავლის ავტოქარხანაში გამოცხადდა საქარხნო კონკურსი საუკეთესო ბინაზე. კონკურსი მიდის ლოზუნგით: „სისუფთავე და მორთულობა—მუშათა ბინებს“. ხარკოვში, კიზელში, იმართება მუშების და მათი ოჯახის წევრების საყოფაცხოვრებო კონფერენციები. ეს კონფერენციები არკვევენ, თუ რა საშუალებები მოეპოვებათ ქარხნებს და თვით მუშებს მოამზადონ ზამთრისათვის ბინები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი. სარატოვში დაიწყო ბინების დათვალიერება. დამკვრელი მუშკორები, მუშების ცოლები აწყობენ ბინების შემოწმებას, აღნიშნავენ დეფექტებს, არკვევენ, რა უნდა გააკეთოს ბინის გასაუმჯობესებლად თვით მობინადრემ და რა უნდა გააკეთონ კომუნალურმა განყოფილებამ, საბინაო ამხანაგობამ, საქარხნო სამმართველომ. ეს გამოცდილება უნდა გაუზიაროთ ყველა ქალაქსა და მუშათა უბანს, ყველა ქარხანას და მუშას. სამწუხაროდ, ბევრ ადგილას ზამთრისათვის მზადება თვით მობინადრეთა ხვედრია, ქალაქის საბჭოთა, კომუნალურ განყოფილებათა, საბინაო ამხანაგობათა უმრავლესობა კი განზე დგას ამ საქმისაგან, ხალხი შეჩვეულია ძველებურად მუშაობას. ისინი ასე მსჯელობენ, მობინადრე შეძლებისდაგვარად ემზადება ზამთრისათვის, —ასე იყო მუდამ, ასე იქნება ეხლაც. ეს დამპალი მსჯელობაა. ასეთ ხელმძღვანელებს სახლები ენგრევათ ფეხისალაგები სავსეა ჭუჭყით, ხოლო ზამთრობით წყალსადენი არ მოქმედობს, მხოლოდ გამოუსწორებელ სულელებს არ შეუძლიათ გაიგონ, რომ მუშის სახლიდან პირდაპირი ძაფია გაბმული მის დაზგასთან და მუშის ბინაზე დაზიანებული სახურავი, საიდანაც წყალი ჩამოდის, ისევე აბრკოლებს სამრეწველო საფინანსო გეგმის შესრულებას, როგორც დაზიანებული სახურავი საამქროში.

უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ მთელ რიგ ქალაქებში ნაკლები ყურადღება ექცევა ბინების მომზადებას ზამთრისათვის. ავიღოთ მაგნიტოგორსკი. მიუხედავათ ამხ. ორჯონიკიძის კატეგორიული მითითებისა, სახლების რემონტი მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. 214 სახლიდან და 1.150 ბარაკიდან შეკეთებულია 100-მდე სახლი და 800-მდე ბარაკი. ამავე დროს მაგნიტოგორსკში ზამთარი უკვე დადგა. ცხადია, რომ „მაგნიტკის“ ახალმა ხელმძღვანელებმა ენერგიულად უნდა მოჰკიდონ ხელი მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ავიღოთ სტალინგრადი. მოწინავე სატრაქტორო ქარხანაში სახლების რემონტისა და დამთავრებისათვის გაღებული 1.300 ათასი მანეთიდან გამოყენებულია მხოლოდ 500 ათასი მანეთი. აქედან ჩანს, რომ პროგრამა მხოლოდ სანახევროდ არის შესრულებული. ეს ვერაფერი სასახელოა პარტორგანიზაციისათვის. აიღეთ კამენსკოე. ძერჟინსკის სახელობის მოწინავე მეტალურგიული ქარხნის მუშები ცხოვრობენ სახლებში, რომლებსაც ესაჭიროებათ ღუმელების და პლიტების რემონტი. მუშა ტიტოვმა ხუთჯერ მიმართა ქარხკომს დახმარებისათვის ბინის შეკეთებაში და ვერც ერთხელ ვერ მიიღო დადებითი პასუხი. ქარხნის საბინაო განყოფილების კომენდანტი, ვინმე გრინი, როგორც გაზ. „ტრუდი“ იუწყება, მუშების განცხადებაზე საერთო საცხოვრებლების რემონტის შესახებ ასეთ პასუხს აძლევს: „თუ ასე არ გნებავთ ცხოვრება მიბრძანდით“. ასეთი პასუხის გაცემა შეუძლია მხოლოდ მუშების მტერს. ისეთ ტიპებს როგორიცაა გრინი, ანგარიში უნდა გაუსწოროთ როგორც მტრებს. საკავშირო პროფსაბჭომ 25 ოქტომბრიდან 25 ნოემბრამდე გამოაცხადა მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა ბინების ზამთრისათვის მზადყოფნის შემოწმების საკავშირო პროფერთთვიური. თავის დადგენილებაში საკავშირო პროფსაბჭო აღნიშნავს, რომ მთელი რიგი კავშირების ცენტრალური კომიტეტები და პროფსაბჭოები, აგრეთვე საქარხნო და საამქრო კომიტეტების და საინჟინერო-ტექნიკურ ძალთა ბიუროების უმრავლესობა არავითარ ზომებს არ ღებულობენ ბინების სასეზონო რემონტისათვის. ეს სავსებით მართალია. საკავშირო პროფსაბჭომ მისცა გაფრთხილება, რომ ერთთვიურის პრაქტიკული შედეგების შეფასების დროს განსაკუთრებით გაძლიერებული მოთხოვნები წარედგინება რკინისგზელთა, მეტალურგთა, ქვანახშირის მრეწველობის მუშათა, სამთომადნო მრეწველობის მუშათა, და მშენებელთა კავშირების ცენტრალურ კომიტეტებს. საკავშირო პროფსაბჭომ და ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ეს ერთთვიური არ გადაიქცეს საპარადო ხმაურობად, რომ ეს იქნეს ბინების კეთილმოწყობის თვე.

(„პრავდას“ 31 ოქტომბრ. მოწინავე)

საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები

„ერ ნუველი“ საბჭოთა კავშირის და ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ.

პარიზი, 31 ოქტომბერი. მთავრობის რადიკალ-სოციალისტური პარტიის ორგანო „ერ ნუველი“, აღნიშნავს—რა ამხ. ლიტვინოვის ჩამოსვლას პარიზში, წერს:

„საფრანგეთს მხურვალედ სურს, რათა ლიტვინოვის მოლაპარაკება რუზველტთან დამთავრდეს იმით, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იცნოს დე-იურე საბჭოთა მთავრობა“.

აღნიშნავს რა შემდეგ საბჭოთა კავშირის მისწრაფებას საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ. გაზეთი გამოთქვამს აზრს, „რომ ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესების მეოხებით საბჭოთა კავშირს საშუალება ექნება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საერთაშორისო მოლაპარაკებაში“.

შემდეგ „ერ ნუველი“ აღნიშნავს, რომ ლიტვინოვის, როგორც დიპლომატის, პირადი ღირსება დადასტურდა საბჭოთა დიპლომატის წარმატებით ჟენევაში და ლონდონის ეკონომიური კონფერენციის დროს (ადს).

წიგნი საბჭოთა კავშირსა და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთ. შტატებზე.

ნიუ-იორკი, 30 ოქტომბერი. საზოგადოება „ამერიკენ ფაუნდეიშენმა“ გამოაქვეყნა 280 გვერდიანი წიგნი, სათაურით: ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი“. წიგნში მოცემულია დაწვრილებითი ცნობები ყველა იმ საკითხებზე, რომლები ეხება ამერიკა-საბჭ. კავშ. ურთიერთობას. ავტორები გაურბიან დასკვნების გამოყვანას, მაგრამ ობიექტიური ცნობები ლაპარაკობენ შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ. „ამერიკენ ფაუნდეიშენთან“ არსებულ „ამერიკა—რუსეთის ურთიერთობის კომიტეტში“, რომელმაც ეს წიგნი გამოსცა, შედიან: მორგანის საბანკო სახლის წევრი ლამონტი, „ჯენერალ მოტორს ექსპორტის თავმჯდომარე მუნი, იუჯენერ კუპერ, „ბოლდუინ ლოკომოტივის“ თავმჯდომარე ხლუსტონი, ამერიკის ყოფილი ელჩი იაპონიაში მორისი, „არას“ ყოფილი დირექტორი საბჭოთა კავშირში ჰასკელი, „კერტის რაიტ ეროპლეინის“ თავმჯდომარე მორგანი და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ წიგნი დამთავრებულია მანამდე, ვიდრე მოხდებოდა მიმართვების გაცვლა-გამოცვლა რუზველტსა და ამხ. კალინინს შორის (ადს).

თათბირი აღმ. ჩინეთის რკ. გზის გაყიდვის საკითხებზე

ტოკიო, 28 ოქტომბერი. „ნიჩირო ცუსინის“ საინფორმაციო ბიურომ 27 ოქტომბერს მოაწყო „საბჭოთა კავშ., იაპონიის და მანჯოუგოს ურთიერთობით დაინტერესებული წრეების წარმომადგენელთა თათბირი. ოხასიმ (მანჯურიის დელეგაციის თავმჯდომარე აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებაში) გააკეთა მოხსენება „აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის გაყიდვის გარშემო წარმოებული მოლაპარაკების მსვლელობის და მანჯოუგოს დიპლომატიური საკითხების შესახებ“. მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა - გამოცვლა „სხვადასხვა დიპლომატიურ საკითხებზე, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირის, იაპონიის და მანჯოუგოს ურთიერთობას“. „ნიჩირო ცუსინი“ ამტკიცებს, რომ თათბირში მონაწილეობას იღებდენ „უდიდეს სავაჭრო - სამრეწველო საწარმოთა წარმომადგენელნი“ (ადს).

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინ. გზის საბჭოთა დეკაპოდების საკითხისათვის.

ხაბაროვსკი, 30 ოქტომბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობით, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეობის სხდომაზე საბჭოთა მხარემ კვლავ დაწვრილებით გააშუქა საკითხი, რომელიც ეხება დეკაპოდებს (მძლავრი ორთქლმავლები) და იმას, თუ რამდენად ეკუთვნიან ისინი საბჭოთა გზებს. საბჭოთა მხარემ თვით აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის დოკუმენტების და წიგნების და კონკრეტულ ციფრების მიხედვით დაამტკიცა, რომ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე არის ჭარბი 1.480 ტონაჟიანი ერთეული, რომელიც საბჭოთა გზებს ეკუთვნის. ამავე დროს, მათ რიცხვში არ შედის კანადის 231 ვაგონი, 50 საყინულე ვაგონი და 98 ცისტერნი, რომლებიც, თავისი ტიპით, გაცილებით უფრო ძვირი ღირს.

ამგვარად, საბჭოთა მხარემ ერთხელ კიდევ, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ცნობილია მანჯურიის მხარისთვის, დაწვრილებით ცხადჰყო, რომ სწორი არ არის მანჯურიის მხარის განცხადება, თითქოს საბჭოთა კავშირის გზებს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მართებს 3.000 ვაგონი (ადს).

საფრანგეთის ახალი კაბინეტი

პრემიერ საროს განცხადება

პარიზი, 27 ოქტომბერი. გუშინ საფრანგეთის ახალმა პრემიერმა საროს რადიკალ-სოციალისტური პარტიის დეპუტატების სხდომაზე განაცხადა: განზრახული მაქვს „ვიარო ჩემი წინა მოადგილეების გზით“, კერძოდ, „საგარეო პოლიტიკის დარგში განვაგრძობ რადიკალების ტრადიციულ ხაზს, რომელიც ერიომ გამოაქვეყნა 1924 წელს, რომელსაც განაგრძობდა ბრიანი და პოლ-ბონკური და რომელიც ეყრდნობა ერთა ლიგასო“. საფრანგეთის პრესა ხაზს უსვამს: ახალი კაბინეტის შემადგენლობა გვიჩვენებს, რომ არსებითად მისი პოლიტიკა არ იქნება განსხვავებული დალადიეს მთავრობის პოლიტიკისაგან (ადს).

ლინდბერგი მოფრინდა პარიზში

პარიზი, 26 ოქტომბერი. ცნობილი ამერიკელი მფრინავი ლინდბერგი ჰიდროპლანით მოფრინდა პარიზში, სადაც ის ფიქრობს გაატაროს რამდენიმე დღე (ადს).

ამხ. ლიტვინოვი ეწვია პოლ-ბონკურს

პარიზი, 31 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„დღეს საგარეო საქმეთა მინისტრს პოლ - ბონკურს ეწვია საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ბ-ნი ლიტვინოვი“ (ადს).

საბჭოთა ესკადრა ჩავიდა ნეაპოლში

რომი, 30 ოქტომბერი. ნეაპოლში ჩავიდა საბჭოთა ესკადრა კრეისერ კრასნი კავკაზის“ და საესკადრო ნაღმოსნების „პეტროვსკის“ და შაუმიანის“ შემადგენლობით, რომელსაც სალიუტებით შეხვდენ (ადს).

რომი, 31 ოქტომბერი. როგორც სტეფანის სააგენტოს ნეაპოლიდან აუწყებენ, იქ ჩავიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. პოტიომკინი, რომელსაც თანახლავს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მდივანი და სამხედრო საზღვაო ატაშე. ისინი დაესწრებიან დარბაზობას, რომელიც ეწყობა საბჭოთა ესკადრის პატივსაცემად. დელეგაციას შეხვდენ ადმირალი, საზღვაო დეპარტამენტის უფროსი და ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები (ადს).

საბჭოთა ესკადრის უფროსი ეწვია ნეაპოლის ხელისუფლებას

რომი, 31 ოქტომბერი. ნეაპოლიდან მიღებული ცნობით, საბჭოთა ესკადრის უფროსი ამხ. რალლი უფროს შემადგენლობათა წარმომადგენლების თანხლებით ეწვია ნეაპოლის ხელისუფლებას (ადს).

ინგლის-იაპონიის ეკონომიური ომი

ლონდონი, 31 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფის“ სიტყვით, იაპონიის საფეიქრო ნაწარმი წარმატებით უწევს კონკურენციას ლანკაშირისას. მაგალითად, იაპონური ხალათები იყიდება მანჩესტერის საცალო სავაჭროებში 21 შილინგად დუჟინი, მაშინ როდესაც ინგლისური ხალათების უმცირესი ფასი 32 შილინგია. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამასთან დაკავშირებით იძულებული გახდენ დაეხურათ ლანკაშირის ის ფაბრიკები, რომელნიც ხალათებს ამზადებენ (ადს).

ნაციონალ-სოციალისტების აგენტის დაპატიმრება

ნიუ-იორკი, 30 ოქტომბერი. ამერიკის მთავრობამ გასცა განკარგულება გერმანელი ნაციონალ-სოციალისტების აგენტის **სპანკნებელის** დაპატიმრების შესახებ. მას ბრალი ედება იმაში, რომ იგი იყო გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი, მაგრამ ამის შესახებ ოფიციალურად არ აცნობა შეერთებულ შტატების საგარეო საქმეთა სამინისტროს. სპანკნებელმა წარადგინა მოწმობა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილებაში მუშაობის შესახებ, მაგრამ მოწმობა არ არის რეგისტრირებული შეერთებულ შტატების საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

სპანკნებელი ნაციონალ - სოციალისტური მოძრაობის ხელმძღვანელია შეერთებულ შტატებში (ადს).

ერთი ვაგონი ფეროშენადნობი

ფერომარგანეცის ქარხნიდან

ზესტაფონი, 1 ნოემბერი (სპეც. კორ.) ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის პირველმა ღუმელმა 30 ოქტომბერს, 15 საათსა და 37 წუთზე მოგვცა ფერომარგანეცის პირველი შენადნობი. 2 ნოემბერს ერთი ვაგონი (16 ნახევა-რი ტონა) მზა პროდუქცია გაეგზავნება ბაქოში ამხ. შმიდტის სახელობის ქარხანას. მეორე და მესამე ღუმელის ამუშავებისათვის მზადება დაკვრითი წესით მიმდინარეობს. ამ ღუმელების ამუშავება დიდადაა დამოკიდებული ამხ. შმიდტის სახელობის ქარხნიდან სხვადასხვა სათადარიგო ნაწილების მოწოდებაზე. შეკვეთის თანახმად ამ ქარხანამ უნდა გამოგზავნოს შემდეგი სათადარიგო ნაწილები: კუთხოვანი რკინა — 16 ტონა, 11 ცალი ონკანი სხვადასხვა ზომის და 3 ცალი 355 მილიმეტრიანი ურდული. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება ამ ნაწილების დაჩქარებით მიღებისათვის.

აქ. ნიკოლეიშვილი

ამუშავდა რიონჰესის მეორე აგრეგატი

31 ოქტომბერს საღამოს 10 საათზე ამუშავდა რიონჰესის მეორე აგრეგატი

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში რიონჰესის მშენებლობის უფროსმა ამხ. ჯიქიამ განაცხადა:

რიონჰესის მეორე აგრეგატი ამუშავებული უნდა ყოფილიყო 20 ოქტომბერს, მაგრამ ტურბინის რეგულატორის გაუმართავი მუშაობის გამო მისი ამუშავება 31 ოქტომბრამდე ვერ მოხერხდა.

ლენინგრადის მანქანათმშენებელი ქარხნის წარმომადგენლის ინჟ. ამხ. ბარკოვსკის მეცადინეობის მეოხებით, რეგულიატორი დარეგულირებულ იქნა საკმაო სიზუსტით.

28 ოქტომბერს ძაბვის ქვეშ დავაყენეთ ძალოვანი ტრანსფორმატორები. ძაბვა ავიყვანეთ 140 ათას ვოლტამდე, ე. ი. ნორმალურ ძაბვაზე 30 პროცენტით უფრო მაღლა. — ტრანსფორმატორების გამოცდამ ბრწყინვალე შედეგები მოგვცა.

მეორე აგრეგატის ამოქმედებამდე პირველი აგრეგატის მუშაობა ზედმეტად გადატვირთვის გამო მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით [illegible] გადატვირთვას ჰქონდა ადგილი 24 ოქტომბიდან, ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის პირველი ღუმელის ამუშავებასთან დაკავშირებით. პირველი აგრეგატის დატვირთვა ხანდახან აღწევდა 13 ათას კილოვატამდე, მაშინ როცა მისი დაწესებული სიმძლავრე 12,5 ათასი კილოვატია. გენერატორის და ტურბინის ასეთი გამოცდა გადატვირთვაზე სავსებით დამაკმაყოფილებლად დამთავრდა.

მეორე აგრეგატის ამუშავებით ძალიან შემსუბუქდება მთელი სადგურის მუშაობა, ორი აგრეგატის პარალელურად მუშაობა ამჟამად სავსებით უზრუნველყოფს ყველა მომხმარებლის მოთხოვნილებას აგრეგატების ყოველგვარი გადატვირთვის გარეშე.

მეორე აგრეგატის ამუშავებით მივიღებთ შესაძლებლობას უზრუნველვყოთ ელექტროენერგიით აგრეთვე მთელი ქუთაისის რაიონი.

ამჟამად წარმოებს მუშაობა რიონჰესის და ზაჰესის პარალელური მუშაობის შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის. 15 ნოემბრისათვის ეს სამუშაოები დამთავრდება და მაშინ ტფილისი დამატებით ენერგიას უშუალოდ რიონჰესიდან მიიღებს.

ახლა სწრაფი ტემპით წარმოებს მესამე და მეოთხე აგრეგატის მონტაჟი.

მშენებლობის ხელმძღვანელობის საბრძოლო ამოცანაა დაამთავროს მესამე აგრეგატის მონტაჟი 1934 წლის 1-ლი თებერვლისათვის, ხოლო მეოთხე აგრეგატის მონტაჟი — პირველი მარტისათვის, რომ გაზაფხულზე, როცა რაიონში წყალი აიწევა, უზრუნველყოფილი იქნას სადგურის მთელი სიმძლავრით მუშაობა (ადს).

ნავთის ძლიერი შადრევანი ლოკბატანის სარეწაოზე

ბაქო, 1 ნოემბერი. მიქოიანის სახელობის ლოკბატნის სარეწაოზე პირველ ნოემბერს დღის 3 საათზე №37 ჭაბურღილიდან 790 მეტრის სიღრმიდან ამოხეთქა ზემძლავრმა შადრევანმა 15 ათასამდე ტონა ნავთის დებეტით დღე - ღამეში. ამ განსაკუთრებული სიძლიერის შადრევანმა ამოხეთქა ჭაბურღილის გარეცხვის დროს საექსპლოატაციო კოლონის ჩაშვებამდე. მთელი ამოხეთქილი ნავთი № 45 ჭაბურღილის არხით მიედინება ლოკბატნის პირველი მძლავრი შადრევანის ნავთსაცავებში. № 37 ჭაბურღილის გათხრა დაიწყო მეორე რიგში ახალ სარეწაოთა 300 დამატებითი ჭაბურღილიდან საუკეთესო მბურღავი ხელოსნის იაკოვენკოს ხელმძღვანელობით. ხელოსანი იაკოვენკო ლოკბატნის დამკვრელების მიერ არჩეულია დელეგატად ოქტომბრის ზეიმზე მოსკოვში, სადაც ის მოუთხრობს ბაქოს მოწინავე დამკვრელთა მუშაობის შესახებ. (ადს)

რუზველტმა გასცა ბრძანება ფორდის ქარხნის პროდუქციის ყიდვის შეწყვეტის შესახებ

ვაშინგტონი, 30 ოქტომბერი. რუზველტმა უბრძანა ყველა სახელმწიფო დაწესებულებას შესწყვიტონ ფორდის ქარხნების პროდუქციის ყიდვა, რადგან ფორდმა უარი განაცხადა მხარი დაუჭიროს ავტომრეწველობის „პატიოსანი კონკურენციის“ კოდექსს. ფორდს დიდი ზარალი მოელის. ფორდი პრესაში „მრეწველობის აღდგენის ადმინისტრაციის“ ხელმძღვანელს ჯონსონს ბრალს სდებს „დიქტატორობაში“ (ადს).

ბორჩალოს რაიონში გრძელდება ჩამორჩენა ბამბის აღებაში

ბამბის აღებისათვის მუშაობაში გამარჯვებით შევხვდეთ ოქტომბრის დღესასწაულს

ყარაიას რაიონი ჩამორჩენილია ნედლი ბამბის კრეფისა და სახელმწიფოსთვის ჩაბარების საქმეში. რაიონმა სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 1166 ტონა ბამბა. **29 ოქტომბრისათვის მას შესრულებული ჰქონდა გეგმის მხოლოდ 33 პროც.**, — ე. ი. სახელმწიფოს ჩააბარა მხოლოდ 3834 ცენტნერი. ეს იმ დროს, როდესაც მარტო **ოქტომბერში უნდა ჩაებარებინა 5.880 ცენტნერი.**

ყარაია, ლენინის სახ. კოლმეურნეობის წევრი ამხ. **მურად ბაირამი**, რომელიც ბამბის საუკეთესო მკრეფავად ითვლება კოლმეურნეობაში

რაიონულ ორგანიზაციებს არ დაურაზმავთ არსებული ძალები ბამბის კრეფის ოქტომბრის გეგმის შესასრულებლად. მათ არც ფართო მუშაობა გაუჩაღებიათ ბამბის მინდვრებში **შრომის დისციპლინის** ამაღლებისთვის, კულაკების მხრით საბოტაჟის დასაძლევად. მათ სრულიად უყურადღებოდ დატოვეს ბამბისათვის ბრძოლის მრავალი უბანი.

რაიონის მხოლოდ ზოგიერთი მოწინავე კოლმეურნეობა იბრძოდა ბოლშევიკურად ბამბის კრეფის გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებისთვის. ამ კოლმეურნეობებმა მაღალ ხარისხობრივსა და რიცხობრივ მაჩვენებლებსაც მიაღწიეს.

კოლმეურნეობა „ნაპერწკალმა“ სახელმწიფოს ჩააბარა 195 ცენტნერი ბამბა და ამით შეასრულა წლიური გეგმის 85 პროც., ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ — 118 ცენტნერი, წლიური გეგმის 65 პრ., ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ — ჩააბარა 154 ცენტნ., ანუ წლიური გეგმის 62 პროც., კოლმეურნეობა „აიდინმა“ და კაგანოვიჩის სახელობის მეურნეობამ წლიური გეგმის 50 პროც. შეასრულეს.

ყველა ზემოხსენებულმა კოლმეურნეობამ ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლა გააჩაღეს იმისათვის, რომ **ოქტომბრის რევოლუციის მე-16 წლისთავისთვის სახელმწიფოსადმი ბამბის ჩაბარების წლიური გეგმა სავსებით შესრულებული ექნეთ.**

სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებამ გადამწყვეტი ღონისძიებანი იხმარა ბამბის კრეფის საქმეში ტემპების გარდატეხისთვის; რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები გაგზავნილ იქნენ კოლმეურნეობებში მუშაობის გასაძლიერებლად. მიღებული ზომათა მეოხებით რაიონის ბამბის მინდვრებში უკანასკნელ ხანს შეჯიბრება და დამკვრელობა გაძლიერდა. საუკეთესოთა გამოცდილებას უზიარებენ, ჩამორჩენილებს.

პოლიტგანყოფილების მიერ წარმოებულმა მუშაობამ სულ მალე ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. **ბამბის ყოველდღიურმა ჩაბარებამ 10—15 პროცენტით იმატა.**

ყარაიას რაიონს სრული საშუალება აქვს სავსებით და ვადაზე შეასრულოს ბამბის ჩაბარების გეგმა. საჭიროა ეს შესაძლებლობა გამოვიყენოთ, რათა ოქტომბრის რევოლუციის მე-16 წლისთავისთვის სრულად გამოსწორებულ იქნას ის გარღვევა, რომელმაც აქ თავი იჩინა და შევძლოთ ხელმძღვანელ ორგანიზაციების წინაშე პატაკით წარვსდგეთ ბამბის აღება - ჩაბარების დავალებათა მთლიანად შესრულების შესახებ.

ა.-კ. მიწსახკომის პოლიტსექტორის დეპეშა ბამბის რაიონების ყველა პოლიტგანყოფილებებს

კომკავშირის გაზეთ **„მოლოდოი რაბოჩიში“** (№ 244 და 249) ფართოდ არის გაშუქებული კოლმეურნე **ნამაზოვის** (დოლიარის რაიონი) და **ანახანუმ შეფქეთ გუსეინოვის** მიერ (განჯის რაიონი) **ბამბის ორივე ხელით** მოხერხებულად კრეფის მეტად სასარგებლო გამოცდილება.

ვანიჭებ რა უდიდეს მნიშვნელობას ამ სერიოზულ რაციონალიზატორულ ღონისძიებას, რომელიც იძლევა მეტად ეფექტიურ მაჩვენებლებს — წინადადებას ვაძლევ ყველა სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებებს გამოეხმაურონ „მოლოდოი რაბოჩის“ ინიციატივას და ფართო მასიურ - პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობით და მიაღწიოთ **ბამბის ორი ხელით კრეფის შემოღებასა და გავრცელებას** ამ საკითხის პრესაში ფართო პოპულარიზაციის გზით.

ა.-კ. მიწსახკომის პოლიტსექტორის უფროსი მირონოვი.

წითელ დაფაზე სამაგალითო მაჩვენებლებისათვის

(გურჯაანის რაიონი)

ბამბის აღება სოფელ ყანდაურისა და ბოგდანოვკის მიდამოებში გაშლილი ტემპებით სწარმოებს. მოსავლის აღების ტემპებისა და **ხარისხის** მხრივ **წინ მიდიან კოლმეურნეობები.**

სოფ. ყანდაურის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენამ“ ოქტომბერში სახელმწიფოს ჩააბარა 82 ცენტნერი ბამბა გეგმით გათვალისწინებულ 48 ცენტნერის ნაცვლად. ამჟამად აღნიშნული კოლმეურნეობა ამთავრებს მესამე კრეფას ხარისხის მტკიცედ დაცვით. კოლმეურნეობას 30 ოქტომბრისათვის **სექტემბრისა და ოქტომბრის დავალება ბამბის კრეფისა და სახელმწიფოსთვის მისი ჩაბარების დარგში შესრულებული ჰქონდა 208,7 პროც.**

კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენა“ ბამბის აღების სამუშაოთა დამკვრელი ტემპებით გაშლისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცედ დაცვისათვის რაიონულ გაზეთ **„კოლექტიური შრომას“** მიერ შეტანილია წითელ დაფაზე.

ბამბის შესყიდვის გეგმა შესრულებულია 34,7 პროცენტით

„საქ. ბამბის დამზადების“ ცნობით, 31 ოქტომბრისათვის საქართველოში ბამბა ჩაბარებული იყო სულ 2877,5 ტონას რაოდენობით, რაც შეადგენს წლიური გეგმის 34,7 პროცენტით.

კოლმეურნეობებს ჩაბარებული აქვთ 1354,3 ტონა, (წლიური გეგმის 35,4 პროც.) **ერთპიროვნულ მეურნეობებს** 1281,5 ტონა (გეგმის 33 პროც.) **ყარაიას საბჭოთა მეურნეობას** აღებული აქვს 241,7 ტონა; (40,3 პროც.), **კულაკურ შეძლებულ** მეურნეობებს მტკიცე დავალებით სახელმწიფოსათვის ჩაბარებული აქვთ 66,6 ტონა, ხოლო ჩაბარებული ბამბის ეს რაოდენობა მტკიცე დავალების რამდენ პროცენტს შეადგენს—ამის შესახებ „საქ. ბამბის დამზადებას“ არავითარი ცნობები არ მოეპოვება.

რაიონების მიხედვით ბამბა შესყიდულია:

რაიონები	ჩაბარება ტონებში	გეგმის შესრულება %%-ში
ბორჩალოს	1302,3	26,9
ლიუქსემბურგის	230,8	51,5
ყარაიას	763,9	37,4
სიღნაღის	357	68,1
გურჯაანის	157,5	68,5
საგარეჯოს	48,0	27,1

შენიშვნა: ბორჩალოს, ლიუქსემბურგის და საგარეჯოს რაიონების შესახებ ცნობები შეეხება 30 ოქტომბერს.

აღნიშნული რაიონების ბამბის მიმღები პუნქტები დროზე არ აგზავნიან ცენტრში ცნობებს ბამბის შესყიდვის შესახებ. ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. მებამბეობის რაიონების საკონტროლო ორგანიზაციებმა უნდა გამოიკვლიონ ბამბის მიმღები პუნქტების მუშაობა და დააჩქარებინონ მათ ცენტრში ყოველდღიურად ცნობების გამოგზავნა.

მარგანეცი

30 ოქტომბერს ამოღების გეგმა შესრულდა 79,1 პროც., გარეცხვის—81,7 პროც.

	ამოღება (ტონობით)			გარეცხვა (ტონობ ით)		
	დავალება	შესრულება	%	დავალება	შესრულება	%
სულ	4.323	3.420	79,1	2.270	3.084	93,1

ქვანახშირი

31 ოქტომბერს ქვანახშირის ამოღების გეგმა შესრულდა 52 პროცენტით

	ამოღება		
	დავალება	შესრულება	%
სულ	962	499	52
მათ შორის:			
ლენინის უბანი . . .	370	110	30
სტალინის უბანი . .	508	389	76
თიხნარის უბანი . .	84	—	—

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალები მომხსენებლებისათვის

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის 15 წლისთავზე

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის 15 წლისთავს საბჭოთა ამიერ-კავკ. მშრომელნი, არმიის მეომრები და მეთაურთა შედგენილობა დღესასწაულობენ ანტისაბჭოთა იმპერიალისტური ინტერვენციის მზადების შემდგომი გაძლიერებისა და გაფართოების მომენტში, როცა სისხლიან საქმეების კაპიტალისტური ოსტატები კვლავ დახელოვნებულად ქმნიან პროვოკაციის, სიცრუის და ცილისწამების მჭიდრო ქსელს მსოფლიოში ერთად ერთი პროლეტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ, როცა ინტერვენციის შეიარაღებული ძალების მომზადება საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებს ახალი აქტივობით და უტიფარი სიცხადით.

ოთხი წლის მსოფლიო ეკონომიური კრიზისის შედეგად კაპიტალისტური ქვეყნების დაქანებამ უკან მე-19 საუკუნისაკენ, რევოლუციურ მოძრაობის მძლავრმა ზრდამ, კაპიტალისტურ მსოფლიოს ყველა შინაგანი და გარეშე წინააღმდეგობის უმაგალითო და ულრმესმა გამწვავებამ ნიადაგი მოუმზადა კაპიტალიზმის შედარებითი სტაბილიზაციის დამთავრებას და ომების და რევოლუციების ახალ პერიოდში გადასვლას.

კაპიტალიზმის თანამედროვე მსოფლიო კრიზისის მთელი სიღრმის და სიმწვავის განსაკუთრებით მკაფიო სურათს იძლევა ფაშისტური გერმანია, სადაც სამრეწველო წარმოების დონე 1928 წელთან შედარებით შემცირდა 68,6 პროცენტამდე, სადაც არსებობს უმუშევართა უდიდესი არმია, სადაც კლასობრივი წინააღმდეგობანი არაჩვეულებრივად გამწვავდა, სადაც, მიუხედავად უმაგალითო ფაშისტურ ტერორისა, იზრდება რევოლუციური მოძრაობა და გმირულად იბრძვის სახელოვანი კომუნისტური პარტია. ბურჟუაზია კრიზისიდან გამოსავალს ეძებს ომში, მშრომელთა შევიწროების გაძლიერებაში, პოლიტიკურ რეაქციის გაძლიერებაში, ჰიტლერის ნაციონალ-სოციალიზმმა, რომელიც მოწოდებულია იხსნას კაპიტალისტური გერმანია, აქამდის ვერ შესძლო ვერც ერთი ამოცანის გადაჭრა; საგარეო-პოლიტიკური და საშინაო-პოლიტიკური დაბრკოლებანი წინანდებურად დიდია, აქედან გამომდინარეობს ავანტიურების და პროვოკაციების პოლიტიკა (ლეიპციგის პროცესი, ერთა ლიგიდან გამოსვლა), ამით აიხსნება შეიარაღების გააფთრებული ტემპები და ახალ იმპერიალისტური ომისათვის მზადების გაძლიერება.

„იმპერიალისტების გააფთრებულმა ბრძოლამ ბაზრებისა და კოლონიებისათვის, საბაჟო ომებმა, შეჯიბრებამ შეიარაღების საქმეში უკვე შედეგად მოგვცა ის, რომ ახალი იმპერიალისტური ომი უშუალო საფრთხედ გადაიქცა" (კომინტერნის აღმასკომის მე-12 პლენუმი).

მაგრამ, „ყოველთვის, როცა კაპიტალისტური წინააღმდეგობები მწვავდება, ბურჟუაზია საბჭოთა კავშირისაკენ მიაპყრობს თვალებს: ხომ არ შეიძლება კაპიტალიზმის ესა თუ ის წინააღმდეგობა, ან ყველა წინააღმდეგობა ერთად გადაჭრილ იქნას საბჭოთა კავშირის ანგარიშზე..." (სტალინი).

კაპიტალისტური სტაბილიზაციის დამთავრება პირველ ყოვლისა აძლიერებს იმპერიალისტების ანტისაბჭოთა ომის საფრთხეს.

გააფთრებული ანტისაბჭოთა კამპანია, რომელსაც ეწევა ფაშისტური გერმანია, მთელი სერია ანტისაბჭოთა გამოსვლებისა იაპონიის იმპერიალისტების მხრით შორეულ აღმოსავლეთში ყველაზე უკეთ ადასტურებს ანტისაბჭოთა ომის საფრთხის ზრდას. შორეული აღმოსავლეთი ამჟამად ომის მთავარი კერაა. შორეულ აღმოსავლეთში ყველაზე უფრო მოსალოდნელია იმპერიალისტური ინტერვენციის დაწყება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მშვიდობიანობისათვის ენერგიული ბრძოლა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საფუძველია საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 16 წლის მანძილზე. საკმარისია მოვიგონოთ, რომ ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის წლებში მხოლოდ 1918 წლის აგვისტოდან 1919 წლის დეკემბრამდე საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა 11 სამშვიდობო წინადადება. საყოველთაო და სრული განიარაღების საბჭოთა პროექტი, ნაწილობრივ განიარაღების საბჭოთა პროექტი, თავდაუსხმელობის მთელი რიგი პაქტები, დადებული ამ ბოლო დროს, ენერგიული ბრძოლა მშვიდობიანობისათვის შორეულ აღმოსავლეთში და, ბოლოს, მიმართვების გაცვლა-გამოცვლა შეერთებულ შტატების პრეზიდენტსა და საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარეს შორის—ყოველივე ეს საუკეთესოდ ცხადჰყოფს საბჭოთა კავშირის მუდამ მტკიცე, ენერგიულ სამშვიდობო პოლიტიკას. „საბჭოთა კავშირი შორეულ აღმოსავლეთშიაც თანმიმდევრობით ანხორციელებს სხვა ქვეყნების საქმეებში ჩაურევლობის და სასტიკი ნეიტრალიტეტის პოლიტიკას.. საბჭ. კავშირის მთავრობა მომავალშიაც თანმიმდევრობით და განუხრელად გაატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, როგორადაც არ უნდა შეაფასოს ეს პოლიტიკა ამა თუ იმ მთავრობამ" (მოლოტოვი).

ოქტომბრის მე-16 წლის თავზე საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა მტკიცეა ისე, როგორც არასოდეს. გიგანტურად გაიზარდა ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს ძლიერება. საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მსოფლიო კომუნისტურ სახელმწიფოს. „შეიარაღებული თავდასხმა საბჭოთა კავშირზე ამჟამად წარმოადგენს მთავარ საფრთხეს იმათთვის, ვინც გაბედავს მშვიდობიანობის დარღვევას და თავს დაესხმის საბჭოთა კავშირს" (ს.ს.რ.კ. საბჭოების მე-6 ყრილობა). მიუხედავად ამისა ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ომთან ჩვენ მუდამ ერთი ბეწვის სიახლოვეზე ვართ" (ლენინი).

„თითქმის ყოველდღე ცდილობენ პროვოკაციულად ჩაგვაბან ომში, მაგრამ ბოლშევიკებს მაგარი ნერვები აქვთ და მათ იციან არა მარტო სამხედრო და სამეურნეო ფრონტებზე ბრძოლა, არამედ აგრეთვე თავისი პოლიტიკური გეზის გატარება. არავითარ პროვოკაციაზე ჩვენ არ წამოვეგებით, ვერავინ ვერ შესძლებს ჩვენს ჩათრევას ომში მაგრამ თუ რომელიმე იმპერიალისტური სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი შეეცდება პირდაპირი თავდასხმით მოსინჯოს საბჭოთა კავშირის სიმაგრე, მას შესაფერ და გამანადგურებელ წინააღმდეგობას გაუწევენ მუშურ-გლეხური შეიარაღებული ძალები". (ვოროშილოვი).

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მე-15 წლისთავს ჩვენ ვდღესასწაულობთ ისეთ პირობებში, როცა საბჭოთა კავშირის მშრომელებმა უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში. მეორე ხუთწლედის პირველი წლის განმავლობაში შეიქმნა სოციალისტური მრეწველობის ახალი გიგანტები. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა და მშრომელებმა მრავალჯერ გაადიდეს სახელმწიფოს საწარმოო სიმძლავრე, უჩვენეს მთელ მსოფლიოს სოციალიზმის ტექნიკის ბოლშევიკურად დაუფლების ახალი ნიმუშები.

„კუზნეცკის ბლუმინგის გუგუნი ავსებს ტაიგას და წყნარ ოკეანეს ნაპირებამდე ისმის. მაგნიტოგორსკის სამი ბუმბერაზი ბრძმედის გუგუნი მთელს ჩვენს ქვეყანაში გაისმის. საავტომობილო და სატრაქტორო ქარხნების კონვეიერთა რიტმიული სვლა მრავალი ათიათასი ტრაქტორის და ავტომობილის ხმაურით ავსებს საბჭოთა კავშირის ყველაზე შორეულ კუთხეებს. საავიაციო ქარხნების პროდუქციის თვითმფრინავების ჩრდილით მჭიდროდ იფარება ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენმა ქვეყანამ ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის საქმის გენიალური გამგრძელებლის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით შექმნა სოციალიზმის ეს მძლავრი ეკონომიური საძირკველი, რომელზედაც აშენებს საუცხოვო შენობას მშრომელთათვის. საბჭოთა კავშირი ჩადგა ტექნიკურად და ეკონომიურად ყველაზე მოწინავე ქვეყნების პირველ რიგებში" („პრავდა").

მეორე ხუთწლედის პირველმა წელმა ბრწყინვალე გამარჯვებები მოგვცა საკოლმეურნეო მინდვრებზე, საკოლმეურნეო წყობილებამ გაიმარჯვა და არ არსებობს ქვეყანაზე ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს წაართვას ოქტომბრის რევოლუციას ეს მისი გადამწყვეტი მონაპოვარი.

დიდი საქმეები შესრულდა მიმდინარე წელს გმირულმა მუშათა კლასმა და კოლმეურნე გლეხობამ. საგრძნობი მიღწევები ახალი ტექნიკის და ახალი საწარმოოთა დაუფლების საქმეში, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მინდვრების პირველი უხვი მოსავალი, საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების და საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცება,—ყოველივე ეს ბრწყინავს პროლეტარული რევოლუციის მე-16 წლის ისტორიულ ფარებზე" („პრავდა").

წითელმა არმიამ, რომელიც თავის მუშაობაში გვერდში უდგას ჩვენი ქვეყნის მოწინავე პროლეტარებს, გიგანტურ წარმატებებს მიაღწია თავისი ბრძოლის ძლიერების განმტკიცებაში. იგი მზად არის სოციალისტური მშვიდობიანი შრომის ძლევამოსილი დაცვისათვის.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის 15 წლისთავი, რომელსაც ვდღესასწაულობთ ოქტომბრის 16 წლისთავის დღეებში, წარმოადგენს იმის ერთერთ ყველაზე უფრო მკაფიო მაგალითს, თუ როგორ იბრძოდა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა იარაღით ხელში მუშურ-გლეხური ხელისუფლების არსებობისათვის, როგორ მოიპოვეს მათ პირობები შემოქმედებითი მშვიდობიანი სოციალისტური შრომისათვის, რომელიც ესოდენ მძლავრად გაიშალა ჩვენს ქვეყანაში. კავკასიის წითელდროშოვანი არმიის 15 წლის იუბილე არის დემონსტრაცია ოქტომბრის რევოლუციის უდიდეს გამარჯვებათა ნაციონალურ-კულტურულ მშენებლობის დარგში, ნაციონალურ განაპირა მხარეების მშრომელთა განთავისუფლების სფეროში.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ბრძოლის გზა

კავკასიის წითელდროშოვანი არმია არის მემკვიდრე მე-11 წითელი არმიისა, რომელიც იშვა რევოლუციის ცეცხლში და ქარიშხალში 1918 წლის შემოდგომაზე ჩრდილოეთ კავკასიაში. მისი ბრძოლის ისტორია ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად წარმოებული ბრძოლის ერთ-ერთი უაღრესად სახელოვანი ფურცელია. 1918 წელს ჩრდილოეთი კავკასია წარმოადგენდა განსაკუთრებით გააფთრებულ მწვავე კლასობრივ ბრძოლის ასპარეზს. ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბრამდე დონსა და ყუბანში დაიწყო კონტრრევოლუციის ძალების კონცენტრაცია. რუსეთის ცენტრალურ რაიონებში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თეთრგვარდიელთა მასები ფართო ნიაღვრად დაიძრნენ სამხრეთისაკენ, რადგან იმედი ქონდათ, რომ აქ ხელსაყრელ პირობებს იპოვიდენ ახალგაზრდა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომ ამ ბრძოლაში მათ აქტიურ დახმარებას გაუწევდა მდიდარი ყაზახობა, რომელიც ცარიზმის დროს მთელ რიგ პრივილეგიებით სარგებლობდა და აშკარად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იყო განწყობილი

ათასობით კაპიტალისტები, მემამულეები და კულაკები, გამოქცეულნი რუსეთის ყველა კუთხიდან, ათასობით თეთრგვარდიელი ოფიცრები, რომლებიც აქ მოვიდნენ ფრონტიდან, მსხვილი ქალაქების ბურჟუაზია, ყაზახი თეთრგვარდიელი კულაკების საგრძნობი ფენები ქმნიან მძლავრ არმიას რომელმაც აფრიალა საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლის დროშა. მას წინ აღუდგა რევოლუციის არმია, რომელიც შედგებოდა რუსეთის პროლეტარულ ცენტრების, დონის როსტოვის, გროზნოს, კრასნოდარის, სტავროპოლის, ნოვოროსიისკის მუშების წითელგვარდიელთა რაზმებისაგან, ფრონტიდან დაბრუნებულ რევოლუციურ ჯარისკაცთა რაზმებისაგან და ახალგაზრდა ყაზახებისაგან, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე იდგა.

რევოლუციის და კონტრრევოლუციის ამ ორი ძალის ბრძოლამ ჩრდილოეთ კავკასიაში მეტად ფართო ხასიათი მიიღო ამ ბრძოლით სავსეა მთელი 1918 წელი. თეთრგვარდიელთა რაზმები ძლიერი იყვნენ თავის ორგანიზაციულ დარაზმულობით, დისციპლინით, ბრძოლის მდიდარი გამოცდილებით ოფიცრების, მრავალრიცხოვანი კადრებით და რევოლუციისადმი მხეცური სიძულვილით. წითელ მებრძოლთა რაზმებს აკლდა ორგანიზაციული დარაზმულობა, ისინი მოქმედებდნენ დაქსაქსულად, მათი გამოცდილება ბრძოლაში მეტად უმნიშვნელო იყო. მიუხედავად ამისა, ეს რაზმები, სავსე რევოლუციური ენთუზიაზმით და გაბედულებით, სასტიკად ამარცხებდნენ თეთრგვარდიელებს.

ბრძოლის უფრო და უფრო ფართოდ გაშლას და გამწვავებას, თეთრგვარდიელების მიერ მოხალისეთა არმიის შექმნას გენერალ კორნილოვის მეთაურობით, თეთრგვარდიელთა ძალების გაერთიანებას ყუბანში 1918 წლის ზაფხულისათვის, საბჭოთა რუსეთში გაჩაღებულ ენერგიულ მუშაობას წითელ გვარდიელთა და პარტიზანთა რაზმების წითელი არმიის ორგანიზებულ ნაწილებად გარდაქმნისათვის შედეგად მოჰყვა უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სამხედრო შენაერთების შექმნა ჩრდილოეთ კავკასიაშიაც. ამ უდიდეს და ძნელ მუშაობას სათავეში ჩაუდგა კომუნისტური პარტიის ჩრდ. კავკასიის კომიტეტი. ასე წარმოიშვა კავკასიის არმია, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო მე-11 წითელ არმიის შექმნას.

1918 წლის ზაფხულის განმავლობაში არმია სოროკინის სარდლობით განუწყვეტლივ ბრძოლას აწარმოებდა დენიკინის მოხალისეთა არმიასთან. ეს ბრძოლა დამთავრდა სოროკინის არმიის უკან დახევით მდინარე ყუბანის გადმოღმა ლაგუსაკენ. 17 სექტემბერს არმავირის მახლობლად სოროკინის არმიას შეუერთდა ტამანსკის არმია, რომელმაც ჩაატარა ისტორიული გმირული ლაშქრობა შავი ზღვის ნაპირზე და გაარღვია კონტრრევოლუციურ აჯანყებების რკალი ყუბანში. აღნიშნულ არმიის შემოერთებამ გაადიდა სოროკინის არმიის ძალები. ორივე არმიის მებრძოლთა რიცხვი 150.000 კაცამდე აღწევდა. ამან შესაძლებლობა მისცა არმიას კვლავ გადასულიყო შეტევაზე, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მან ხელში ჩაიგდო არმავირი და სტავროპოლი, მაგრამ ეს იყო მძიმე ლაშქრობით გაწამებული, მომარაგებას, ვაზნებსა და ყუმბარებს მოკლებული და თეთრგვარდიელებით გარშემორტყმული არმიის ძალიან სუსტად უზრუნველყოფილი გამარჯვება. დიდ გავლენას ახდენდა ნაწილების ჯერ კიდევ არასაკმაო ორგანიზაციული დარაზმულობა, პოლიტიკური მუშაობის სუსტად გაშლა. კომისრებიც კი არ ჰყავდა ყველა ნაწილს. ნაწილების უმრავლესობას არ ქონდა აგრეთვე მტკიცედ ჩამოყალიბებული პარტუჯრედები. ჯერ კიდევ არ იყო სავსებით აღმოფხვრილი პარტიზანშჩინა, რის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს არმიის უფროსის სოროკინის ღალატი რევოლუციისადმი. მან არ მოისურვა დამორჩილებოდა ჩრდ. კავკასიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. შემდეგში მოღალატე სოროკინი დააპატიმრეს და დახვრიტეს, მაგრამ მისმა ღალატმა დიდი ზიანი მიაყენა არმიის ბრძოლის ძლიერებას. შედეგად 1918 წლის შემოდგომის ოპერაციების დასასრულს ორივე არმიის ნაწილები მოემწყვდა კასპიის ველზე.

ზამთრის დასაწყისში სტავროპოლის ხელმეორედ დატოვების შემდეგ ორივე არმიის—ტამანსკის და სოროკინის ყოფ. არმიის ნაწილები გაერთიანებულ იქნა ერთ არმიად, რომელმაც მიიღო მე-11 არმიის სახელწოდება და დაიკავა „ზავეტნაიას პრიუტნაიას, დუბროვსკის, ბოროვსკოლესკაიას — კისლოვოდსკის—ნალჩიკის ფრონტი. დეკემბერში მე-11 არმია შევიდა კასპიის კავკასიის ცალკე ფრონტის შემადგენლობაში.

არსებობის პირველ დღიდანვე მე-11 არმია განსაკუთრებით ძნელ პირობებში იმყოფებოდა. ისე როგორც მუშურ-გლეხური წითელი არმიის ყველა ნაწილმა, მე-11 არმიამ განიცადა ორგანიზაციული პერიოდის ყველა სიძნელე და, განსაკუთრებით პარტიზანშჩინა, მომარაგების ნაკლებობა, მეთაურთა შემადგენლობის მწვავე კრიზისი. არმია იქმნებოდა მტრის გააფთრებული იერიშების პირობებში. იგი არავითარ დახმარებას არ ღებულობდა ცენტრიდან. დასავლეთიდან მე-11 არმიას აწვებოდა მოწინააღმდეგე, ჩრდილოეთით იყო უდაბნო, სამხრეთით — კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთით კასპიის ზღვა, თავის ძირითად ბაზისაგან არმიას აშორებდა უდაბნო რამდენიმე ასეული კილომეტრის მანძილი. „შეიძლება ითქვას, რომ ყველა წითელი არმიიდან ერთად ერთი ყოფილა მე-11 არმია სტრატეგიულად და ტაქტიკურად ყველაზე უფრო ცუდ პირობებში იმყოფებოდა. ოდნავ მოწესრიგებულ ზურგს და დაკავშირების საშუალებებს მოკლებული უკომუნიკაციოთ, ყოველგვარ გარანტიას მოკლებული მოწინააღმდეგის თავდასხმისაგან უშიშროების მხრივ, დასასრულ ველური და უსიცოცხლო ბუნება ასტრახანიდან სტავროპოლის და გროზნოს რაიონებამდე—აი რა პირობებში მიმდინარეობდა არმიის საბრძოლო ცხოვრება". (ეგოროვი). მიუხედავად ამისა არმიის ნაწილები გმირულად ებრძოდენ თეთრგვარდიელებს. მე-11 არმიის მებრძოლნი ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი და მუდამ საომარი მასალის მწვავე კრიზისს განიცდიდენ, მაგრამ მაინც ამარცხებდენ მოწინააღმდეგეს. ისტორიამ იცის არა ერთი მაგალითი, როცა წითელარმიელები ვაზნების უქონლობის გამო ხელჩართულ ბრძოლაში მიდიოდენ თეთრგვარდიელთა კარგად შეიარაღებულ რაზმების წინააღმდეგ და ამარცხებდენ მათ.

1919 წლის იანვრის დასაწყისს მე-11 არმია გადავიდა შეტევაზე, მაგრამ წააწყდა რა მოწინააღმდეგის საგრძნობ ძალებს, იძულებული გახდა უდაბნურ, უწყლო ველებით დაეხია ასტრახანისაკენ. ეს იყო რევოლუციური მეომრების განსაკუთრებით მძიმე, ნამდვილი გმირული ლაშქრობა. ასტრახანის ველებზე მე-11 არმიამ შიმშილისაგან, სიცივისაგან და განსაკუთრებით სახადისაგან დაკარგა რამდენიმე ათასი საუკეთესო მეომარი.

24/I—11 საათი და 13 წუთი.

კავკავი

მოსკოვი, ლენინს

მეთერთმეტე არმია არ არსებობს... მოწინააღმდეგე იკავებს ქალაქებს და სადგურებს თითქმის ისე, რომ მას არავინ უწევს წინააღმდეგობას, არა გვაქვს ფული. ექვსი თვეა ვაწარმოებთ ომს, ვყიდულობთ ვაზნებს ხუთ-ხუთ მანეთად.

ვლადიმერ ილიას ძევ! გაცნობებთ რა ამას, დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ ყველა დავიხოცებით უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ არ შევირცხვენთ სახელს გაქცევით. გროზნოს და კავკავის მუშებს ურყევად აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ და არ დატოვონ პოზიციები. მთელი ხალხების სიმპატიები ჩვენს მხარეზეა.

ძვირფასო ვლადიმერ ილიას ძევ! სასიკვდილო საფრთხის მომენტში გიგზავნით სალამს და მოველით თქვენს დახმარებას.

ორჯონიკიძე.

ასტრახანში ჩამოვიდენ ჯარის ნაწილების მცირეოდენი ნაშთები, რომლებსაც შეხვდენ ასტრახანის გარნიზონი და მუშები. ასე დამთავრდა გმირული, განსაკუთრებით მძიმე ბრძოლის პირველი ეტაპი.

1919 წელს მე-11 არმიას უერთდება მე-12 არმიის ნაწილები. ასტრახანში ჩამოსვლისთანავე არმია ღებულობს ასტრახანის დაცვის ახალ საპასუხისმგებლო ამოცანას და მოქმედებს ფრონტის ამ უბანზე ჯარების ასტრახანის ჯგუფის სახელწოდებით.

ამ დროისათვის ასტრახანი თავისი გეოგრაფიულ მდგომარეობის, დიდი ეკონომიური მნიშვნელობის, დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული როლის გამო გადაიქცა იმ თეთრი არმიების სარდლების განსაკუთრებული ყურადღების ობიექტად, რომლებმაც მჭიდროდ შემოარტყეს ალყა ასტრახანის რაიონს. აღმოსავლეთიდან ურალის ველების მხრით ასტრახანს ემუქრებოდა პოლკოვნიკ ტოლსტოვის რაზმი; ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან უტევდა დენიკინის მოხალისეთა არმია. ცენტრთან ასტრახანის რაიონი დაკავშირებული იყო რკინის გზის ერთადერთი ხაზით სარატოვი — კრასნიკუტი—ასტრახანი, რომელსაც მუდამ მოელოდა თეთრგვარდიელთა ბანდების თავდასხმა.

ასტრახანის აღება საშუალებას აძლევდა თეთრგვარდიელებს შეემჭიდროებინათ ამ უბანზე კონტრრევოლუციის რკალი და ამით საგრძნობლად გაერთულებინათ საბჭოთა ქვეყნის ბრძოლის პირობები. ამიტომ იყო, რომ ასტრახანს ყოველმხრიდან გააფთრებით უტევდენ.

— ასტრახანი არ დათმოთ! გვიბრძანებს დეპეშით ამხ. ლენინი მოსკოვიდან. ეს ბრძანება მე-11 არმიამ შეასრულა. მან შეინარჩუნა ასტრახანი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ქონდა, ვინაიდან თეთრგვარდიელთა მომქმედ არმიებს ზურგშიაც და ფლანგზედაც მუდამ ემუქრებოდა მე-11 არმიის ასტრახანის წითელი მუშტი. მისი საბრძოლო მუშაობაც ამ პერიოდში განსაკუთრებით ძნელ პირობებში მიმდინარეობდა: ველებზე ლაშქრობით საგრძნობლად დასუსტებულ, დაქანცულ და დაუძლურებულ ნაწილებს უნდა მოეგერებია მტრის ძალები, რომლებიც რიცხვობრივად მას სჭარბობდენ. სახადის ეპიდემია მძვინვარებდა კიდევ უფრო მეტი ძალით, რასაც ასობით და ათასობით გამოჰყავდა მეომრები მწყობრიდან; პროდუქტების შემოზიდვის სიძნელეები კიდევ უფრო აძლიერებდენ შიმშილს და ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდენ თეთრგვარდიელთა აგიტაციისა და პროვოკაციისათვის, რომელთა ანკესზედაც ზოგჯერ მუშებიც კი ეგებოდენ. ქალაქში თეთრგვარდიელებს მოწყობილი ჰქონდათ საკმაოდ განშტოებული აგენტურა და ესერთა არალეგალური შტაბის მეშვეობით აწყობდენ კონტრრევოლუციურ აჯანყებებს.

გარეშე პირობები დღითი დღე რთულდებოდა. ჩრდილოეთ კავკასიაში რევოლუციური ძალების დამარცხების შემდეგ, დენიკინი აქ განთავისუფლებულ ნაწილებს გზავნის ჩრდილოეთისაკენ. წითელი არმია უფრო და უფრო იხევს ჩრდილოეთისაკენ. 1919 წლის ივნისში თეთრგვარდიელებმა დაიკავეს საბჭოების ფოლადისებური ციხესიმაგრე სახელოვანი ცარიცინი (ახლა სტალინგრადი). მეთერთმეტე არმიამ, რომელიც მას იცავდა, სარატოვისაკენ დაიხია.

ასეთ პირობებში მე-11 არმიის ნაწილებმა, რომლებიც მედგრად იცავდენ ქვემო ვოლგის ნაპირებს და კასპიის ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებს კონტრრევოლუციურ ურდოებისაგან, გმირულად შეასრულეს დაკისრებული ამოცანა. ისინი გაუმკლავდენ მტრის უდიდეს შეტევას. განსაკუთრებით გააფთრებული იყო ბრძოლა ჩორნიიართან. თეთრებმა, რომლებმაც ამ უბანზე დიდძალ ნაწილებს მოუყარეს თავი, არაერთხელ, მაგრამ უშედეგოდ, მიიტანეს იერიში წითელ სანგრებზე. 1919 წლის 26 სექტემბრიდან 7 ნოემბრამდე ჩორნი იარი ყოველმხრივ გარშემორტყმულია მათ მიერ. ჩორნი იარის მცირერიცხოვან გმირული ნაწილების დასახმარებლად ასტრახანიდან მიდიან ჯარის ნაწილები, ისინი ამაოდ ცდილობენ თეთრების რკალის გარღვევას. მაგრამ ამავე დროს იმის გამო, რომ მე-11 არმიის საგრძნობი ნაწილები გაგზავნილ იქნა ჩორნი იარის მიმართულებით, სამხრეთ დასავლეთიდან ასტრახანზე იწყებს შეტევას გენერალი დრაცენკო, ხოლო აღმოსავლეთიდან—სერიოჟნიკოვის რაზმი. „სამ დღეში აიღეთ ასტრახანი" — ასეთია დრაცენკოს ბრძანება. მე-11 არმია ამარცხებს დრაცენკოს და სერიოჟნიკოვს და შემდეგ აძლიერებს შეტევას ჩორნი იარის მიმართულებით. თეთრგვარდიელთა ნაწილები იხევენ ჩორნი იარიდან.

ასე იზრდებოდა, მტკიცდებოდა, იბრძმედებოდა და სწავლობდა მე-11 არმია განუწყვეტლივ ბრძოლებში. ნაწილების ბრძოლისუნარიანობა აღდგენილ იქნა. უკვე ყველა ნაწილს ჰყავდა კომისრები და შეიქმნა კომუჯრედები, მოგვარდა პოლიტიკური მუშაობა.

თეთრი არმიების წინსვლამ 1919 წლის ზაფხულში საბჭოთა რუსეთის ცენტრისაკენ მთელი სიმწვავით დასვა წითელი სარდლობის წინაშე ამოცანა—შეაჩეროს თეთრების შეტევა და გადავიდეს კონტრშეტევაზე. მე-11 არმია ღებულობს დავალებას აქტიურად დაეხმაროს მე-10 არმიას ცარიცინისაკენ მოძრაობაში, მისი ხელში ჩაგდების მიზნით, და მოწინააღმდეგის არმიის ზურგში დარტყმით გაანადგუროს მისი ცოცხალი ძალები. გაცხარებული ბრძოლები ცარიცინის დაუფლებისათვის გრძელდებოდა სექტემბრის, ოქტომბრის და ნოემბრის განმავლობაში. ნოემბრის დამლევს მე-11 არმიის ნაწილები უკვე მიუახლოვდენ ცარიცინს. ერთერთი პოლკის მოწინავე ნაწილები ერთხელ კიდეც შეიჭრენ ქალაქში, მაგრამ მოწინააღმდეგე ახერხებდა ამ იერიშების მოგერიებას. იმ გარემოებამ, რომ 1919 წლის დამლევს მთელი სამხრეთის ფრონტი გადავიდა გაშლილ შეტევაზე დენიკინის არმიის წინააღმდეგ და უკანასკნელის ჯარის ნაწილების დეზორგანიზაციამ აქტუალურ ამოცანად დასახა ცარიცინის დაუფლება. 1919 წლის 24 ნოემბერს მე-11 არმიას მიეცა ბრძანება აეღო ცარიცინი. ამ ამოცანის შესრულებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან იგი ანთავისუფლებდა ამ მიმართულებით თავმოყრილ მე-10 არმიის დიდ ნაწილს და საშუალებას გვაძლევდა გამოგვეყენებინა იგი თეთრი არმიების ფლანგზე სამოქმედოდ. ამავე დროს მე-11 არმიას ეძლევა ბრძანება შეუტიოს კასპიის ზღვის ნაპირით ყიზლიარა, მდინარე კუმისაკენ, რათა დაამყაროს კავშირი გროზნოს ოლქში აჯანყებულებთან და გაწმინდოს ჩრდილოეთ კავკასია თეთრებისაგან. ორივე ამოცანის შესრულება განსაკუთრებით დიდ მოთხოვნებს უყენებდა ნაწილებს, ვინაიდან ოპერაციები უნდა გაშლილიყო უდაბნურ, უწყლო და უგზო ადგილებში, ტრანსპორტის უქონლობის დროს, ზამთრის პირობებში, როცა აქ სუსხიანი ყინვები, ქარები და ქარიშხალი იცის. ამას გარდა, ცარიცინი ფრონტიდან ძლიერ იყო გამაგრებული და მას მტკიცედ იცავდენ ყუბანის თეთრი ნაწილები, რომლებიც კარგად იყვნენ შეიარაღებული ბრძოლის ყველა თანამედროვე ტექნიკური საშუალებით — ტანკებითაც კი. ამ ორი ამოცანის შესრულება აგრეთვე რთულდებოდა იმით, რომ არმიის ნაწილები გაყოფილი იყო ორ ჯგუფად და ისინი ერთმანეთისაგან დაშორებული იყვნენ 200 და კიდევ მეტი კილომეტრით, რაც მეტისმეტად აგრძელებდა ფრონტს.

29 დეკემბერს, ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ წითელი არმიის ნაწილები გადაჭრით უტევენ ცარიცინს. მე-11 არმიის ნაწილი ჯერ კიდევ ნოემბერში იქნა გადაყვანილი ვოლგას მარცხენა ნაპირზე—დავალებით ხელთიგდოს ცარიცინი ამ ფლანგიდან. ქალაქის შესასვლელთან წარმოებს განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლა. ორივე მხარე გაშმაგებით იბრძვის. ტყვეები არ მიყავთ.

1920 წლის 2 იანვარს, ღამით მე-50 მსროლელთა დივიზიის მე-450 პოლკი გადავიდა ვოლგაზე ყინულით მდინარის მარჯვენა ნაპირზე და დაიკავა „ფრანგების" ზარბაზნის ქარხანა, რამაც გადაწყვიტა ამ გააფთრებული ბრძოლების ბედი. გაზოროტებული მოწინააღმდეგე უკან იხევს, ანგრევს სადგურებს, წყალსაქაჩებს, ელექტრო სადგურს და პანიკით მოცული ტოვებს იარაღს, საჭურველს, სურსათს. ქალაქში შედიან წითელი არმიის ნაწილები, რომლებსაც ცარიცინის მოსახლეობა აღფრთოვანებით ესალმება.

ამის შემდეგ წითელი არმია წმენდს ცარიცინის მახლობლად მდებარე რაიონებს, თეთრები ჯერ კიდევ გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ მას. გაშმაგებული ბრძოლა წარმოებს სარეპტასთან. მე-11 არმია გამანადგურებელ ლახვარს ცემს მოწინააღმდეგეს, ეუფლება მრავალრიცხოვან ტროფეებს და დევნის თეთრგვარდიელთა არეულდარეულ ნაწილებს, რომლებმაც უკვე იწყეს გახრწნა. იანვრის პირველი ნახევრის განმავლობაში არმიის ნაწილები, რომლებსაც მტერი სუსტ წინააღმდეგობას უწევს, მიიწევს მანიჩის ტბისაკენ.

არმიის მარცხენა ფლანგზე შექმნილი საექსპედიციო კორპუსი მიიწევს წინ კასპიის ზღვის უწყლო და უდაბნურ ნაპირებით, წარმატებით ასრულებს დაკისრებულ ამოცანებს, ანადგურებს თეთრ ნაწილებს და მიემართება მდინარე კუმისაკენ. იანვრის დამლევისათვის სტავროპოლის მიმართულებით არმიამ ხელთ იგდო დივნოე, ხოლო ყიზლიარის მიმართულებით იგი მტკიცედ დაეუფლა მდინარე კუმას.

ამით დამთავრდა მე-11 არმიის საბრძოლო მოქმედების მეორე ეტაპი.

ცარიცინის აღების შემდეგ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო ასე განსაზღვრავს თავის ამოცანას: „ჩვენ დავამარცხეთ მტერი სიმტკიცით და შეუპოვრობით. დენიკინის ჯარი უკან იხევს, ახლა ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ არ მივცეთ კადეტებს შესვენების საშუალება, ვისარგებლოთ მათი რიგების რღვევით, შევუერთდეთ კავკასიის აჯანყებულ მშრომელ მასებს და ჩვენი წარმატებები საბოლოო გამარჯვებით დავასრულოთ".

დევნის რა მოწინააღმდეგეს, მე-11 არმია მიიწევს სამხ.-დასავლეთისაკენ და მის უახლოეს ამოცანას შეადგენს დაეუფლოს სტავროპოლ-არმავირის რაიონს. ცარიცინის და სარეპტის დამარცხებით თავზარდაცემული თეთრი არმიის ნაწილები გარბიან ჩრდილოეთ კავკასიისაკენ. მაგრამ ითვალისწინებს რა, რომ სტავროპოლ-არმავირის რაიონის დაკარგვა წყვეტს მიმოსვლას კავკავის რკინის გზით და ორ ნაწილად ყოფს დენიკინის არმიას, რაც არსებითად ართმევს მას შემდგომში რაიმე გადამწყვეტი მოქმედების საშუალებას, თეთრები დიდძალ ჯარს აგროვებენ სტავროპოლისაკენ და სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ შეტევაზე გადასულ ნაწილებს. სტავროპოლთან ბრძოლა განსაკუთრებით შეუპოვარი და მკაცრია. 29 თებერვალს წითლები შეიჭრენ სტავროპოლში, არმიას ტყვეთ ჩაუვარდა დაახლოებით 4.000 თეთრგვარდიელი. ხანგრძლივი ბრძოლებით და მე-11 არმიის გადამწყვეტი მოქმედებით დაქანცული მოწინააღმდეგე უწესრიგოდ იხევს არმავირ - ნევინომისკაიას მიმართულებით.

არმიის შემდგომი ამოცანაა დაეუფლოს კავკავის რკინის გზის რაიონს სად. არმავირიდან სადგურ ნეზლობნაიამდე, ხოლო მარცხენა ფლანგზე—ხელთ იგდოს ყიზლიარი და დაეუფლოს გროზნოს. არმია წარმატებით ართმევს თავს ამ ამოცანებს. თეთრები უკანასკნელ ძალღონეს ხმარობენ. მაგრამ მათი ნაწილები სულ უფრო და უფრო იხრწნება, ჯარისკაცები ჯგუფობით ვარდებიან ტყვედ და მიდიან მთებში, გარბიან სტანიცებში ანდა მიიპარებიან მუსავატურ აზერბეიჯანში და მენშევიკურ საქართველოში. 16—18 მარტს მე-11 არმიის ნაწილებმა გატეხეს მტრის ძლიერი წინააღმდეგობა და ხელთ იგდეს არმავირი და პიატიგორსკი. 30 მარტს გროზნოს რაიონში მემარჯვენე ფლანგის და ყიზლიარის ჯგუფების შეერთების შემდეგ, არმიის ნაწილებმა დაიკავეს პეტროვსკი და ხელთ იგდეს აქ 5 ჯავშნიანი მატარებელი, ნავთის საწყობები და სხვა მრავალი სამხედრო ქონება. ჩრდილოეთ კავკასიაში არმიის საბრძოლო მუშაობას აქტიური დახმარება გაუწიეს მშრომელმა მასებმა. მათ მოაწყვეს ადგილობრივი პარტიზანული რაზმები, რომლებიც აქტიურად იბრძოდენ თეთრების წინააღმდეგ. გროზნოში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს აჯანყებულმა მუშებმა ჯერ კიდევ არმიის ნაწილების მისვლამდე.

პეტროვსკის დაკავების შემდეგ მე-11 არმიამ გამარჯვებით დაამთავრა თავისი საბრძოლო მოქმედების მესამე ეტაპი. სამხრეთის კონტრრევოლუციის განადგურების შემდეგ, იგი მიუახლოვდა ამიერ-კავკასიის საზღვრებს, სადაც იმ დროს სამი რესპუბლიკა არსებობდა: მუსავატური—აზერბეიჯანი, მენშევიკური—საქართველო და დაშნაკური—სომხეთი

კავკ. წითელდროშოვანი არმიის დახმარება ა-კ. მშრომელებს

ა.-კ. მშრომელებმა და კავკასიის წითელდროშოვან არმიის მეომრებმა მშვენივრად იციან, თუ რას წარმოადგენდენ ეს რესპუბლიკები, რომელნიც თუმცა „დამოუკიდებელ" რესპუბლიკებად იწოდებოდენ, მაგრამ ნამდვილად სავსებით უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ემორჩილებოდენ. ხელისუფლების სათავეში მყოფი მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები გულმოდგინეთ იცავდენ მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს. თავის ბატონობის განმავლობაში მათ საგრძნობლად გააუარესეს მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა. ნაციონალურმა ურთიერთობამ ამ რესპუბლიკებში მეტად მწვავე ფორმები მიიღო. რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც მთელ ამიერ-კავკასიას ფართოდ მოედო, ულმობლად ახშობდენ გერმანიის კაიზერის, თურქეთის სულთანის და ინგლისის მეფის ჯარების დახმარებით. ამ რესპუბლიკების ტერიტორიაზე თბილ თავშესაფარს ჰპოულობდენ დენიკინის ნაწილები, კონტრრევოლუციური ბანდები, თეთრგვარდიელთა ოფიცრობა.

ამიერ-კავკასიის საზღვრებთან მე-11 წითელი არმიის ნაწილების მოახლოებამ ბურჟუაზიასა და მის ყურმოჭრილ მონებში წითელი არმიის წინააღმდეგ ველური სიძულვილის და გაბოროტების ახალი ტალღა გამოიწვია. მეორე მხრივ ამან ახალი რევოლუციური მხნეობა და ენერგია შთაბერა ამიერ-კავკასიის მშრომელებს, რომელნიც ანთებული იყვნენ ბურჟუაზიისა და მის ერთგულ დამცველების—მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელებისადმი სიძულვილით. ამიერ-კავკასიის საზღვრებთან წითელი არმიის ყოფნის ყოველი დღე ამიერ-კავკასიის მშრომელებში რევოლუციურ აქტივობას აღვიძებდა, რევოლუციური ძალების აფეთქებას აახლოვებდა და მათ წინაშე ხელისუფლებისათვის ბრძოლის საკითხს სულ უფრო და უფრო აყენებდა.

ბოლშევიკების პარტია აზერბეიჯანში ჯერ კიდევ 1919 წლის დამლევიდან პროლეტარული აჯანყებისათვის გაძლიერებულ მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებდა. იგი მკვეთრად განმტკიცდა რაიონებში, დაუკავშირდა მაზრებს, მან გაშალა თავისი უჯრედების ქსელი მუსავატის არმიაში. 1920 წლის დამლევს ბაქოში იქმნება რევოლუციური კომიტეტი. იგი აიარაღებს მუშებს, აწყობს სარეწაოთა დაცვას, იმუშავებს აჯანყებისა და ხელისუფლების დაპყრობის გეგმას. კომიტეტი უკავშირდება მე-11 წითელი არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს და თხოვს დახმარებას.

ბაქოს მუშებმა, წარუდგინეს რა მუსავატის მთავრობას მთელი რიგი პოლიტიკური მოთხოვნები, რაკი ვერ მიიღეს დაკმაყოფილება, 27 აპრილს დაიპყრეს ხელისუფლება. მათი მოთხოვნით დასახმარებლად მიდიან მე-11 არმიის ნაწილები. ჯავშნიანი მატარებლები „ასტრახანი", „წითელი დაღესტანელი", „გრიგოლ ულიანოვი", „მესამე ინტერნაციონალი" ქვეითა ჯარის ორი გუნდით, იალამის სადგურთან მცირე წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ, გაიჭრენ და 28 აპრილს, 4 საათს, შევიდენ პროლეტარულ ბაქოში, სადაც მათ გამარჯვებული მუშები შეეგებენ. მუსავატელებმა ვერ გაუწიეს რამდენადმე სერიოზული წინააღმდეგობა აჯანყებულ მუშებს და მშრომელ გლეხებს, რომელნიც მათ ზურგს უმაგრებდენ, და მალე აზერბეიჯანის მთელს ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

მენშევიკური საქართველო და დაშნაკური სომხეთი მტრულად შეხვდენ აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და იქ მე-11 არმიის ნაწილების შესვლას. საკმარისია აღინიშნოს, რომ საზღვარზე მე-11 წითელი არმიის ნაწილების მიახლოვებისას მას სრულიად უსაბაბოდ აუტეხეს სროლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეშინებულმა ნაწილებმა. მე-11 არმიის ნაწილებმა გამოიჩინეს მოთმინება, მათ საზღვარი არ გადაულახავთ. მენშევიკურ საქართველოს ტერიტორიაზე მუსავატელები და აზერბეიჯანის მსხვილი ბურჟუაზია გულთბილად იქნენ მიღებული და ისინი შეუდგენ აზერბეიჯანში აჯანყების ორგანიზაციას. 26 მაისს განჯაში იფეთქა მუსავატელთა მიერ მოწყობილმა აჯანყებამ, რომელიც მოედო ზაქათალას, ევლახს, შუშას, ყარაბახს. მე-11 არმია ბოლოს უღებს ამ აჯანყებებს და ზურგს უმაგრებს აზერბეიჯანის ნორჩ საბჭოთა ხელისუფლებას.

ამავე დროს მოხდა აჯანყება დაღესტანში, რაც დაღესტნელმა მდიდრებმა და მოლლებმა მოაწყვეს. კავკასიის მთებში საომარი მოქმედებისათვის მეტად მძიმე პირობების მიუხედავად, მე-11 არმიის ნაწილებმა მშრომელ მთიელების აქტიური დახმარებით აჯანყება ჩაახშვეს.

დაშნაკური სომხეთის მტრული დამოკიდებულება აზერბეიჯანის საბჭოთა ხელისუფლებისა და მე-11 არმიის ნაწილებისადმი გამოაშკარავდა დაშნაკთა არმიის თავდასხმაში მე-11 წითელი არმიის იმ ნაწილებზე, რომლებიც ზანგეზურში იყვნენ დაბანაკებულნი. მე-11 არმია უპასუხებს გადამწყვეტი კონტრშეტევით და დაშნაკებს თავდასხმის ხალისს უკარგავს. მაგრამ დაშნაკების ავანტიურისტულ პოლიტიკას მალე მოეღო ბოლო.

1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთის მშრომელებმა მიბაძეს აზერბეიჯანის მაგალითს და დაამხვეს ბურჟუაზიის და მისი პარტიის — დაშნაკცუტუნის ხელისუფლება. აჯანყება დაიწყო დილიჯანში და შემდეგ უკვე მთელ ქვეყანას მოედო. მშრომელთა სისხლის რაც შეიძლება ნაკლებად დაღვრის მიზნით, საბჭოთა სომხეთის ახლად დაარსებულმა რევკომმა დახმარებისათვის მე-11 არმიას მიმართა. იგი ამხ. ლენინს, ნარიმანოვს და ორჯონიკიძეს წერდა: „ჩვენ, შევქმენით რა ადგილობრივი რევკომი, მივიწევთ წინ სრული იმედით, რომ აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხთა განმანთავისუფლებელი, ჩვენი უფროსი მოკავშირის, დიდი სოციალისტური რუსეთის გმირული წით. არმია ამ მძიმე ბრძოლაში რეალურ დახმარებას გაგვიწევს. სომხეთის ყველა მუშის და გლეხის სახელით ჩვენ ვთხოვთ საკომსაბჭოს აღმოგვიჩინოს დახმარება". წითელი არმია გამოეხმაურა თავისი ძმების მოწოდებას, და 5 დეკემბერს მისი ნაწილები ავტომობილებით ერევანში ჩავიდენ. პროლეტარული რევოლუცია ზეიმობდა.

აქტიური დახმარება გაეწია საქართველოს მშრომელებსაც. 1921 წლის თებერვლის შუა რიცხვებში დაიწყო აჯანყება ლორის და ბორჩალოს მაზრებში, სადაც გლეხობა მენშევიკური დიქტატურის მხრივ განსაკუთრებულ ჩაგვრას განიცდიდა. აჯანყებულებმა განაიარაღეს „სახალხო გვარდია", მოაწყვეს რევკომი და დახმარებლად მოიწვიეს მე-11 წითელი არმია. მენშევიკებმა უკვე ვერ შესძლეს ამ აჯანყების ჩაქრობა. აჯანყებულთა სიმტკიცემ და შეუპოვრობამ აგრეთვე წითელი არმიის დახმარებამ, გატეხეს მენშევიკური ნაწილების წინააღმდეგობა.

1921 წლის 19 მარტისათვის უკვე მთელი საქართველო საბჭოების დროშის ქვეშ იმყოფებოდა. მენშევიკური მთავრობა ნაძარცვი სიმდიდრით გაიქცა სტამბოლს ინგლისის გემით.

მაშინ, როცა მე-11 არმიის ნაწილები საბრძოლო დახმარებას უწევდენ საქართველოს მშრომელებს, სომხეთში დაშნაკებმა 18 თებერვალს მოაწყვეს აჯანყება, ხელთ იგდეს ერევანი და სომხეთის ტერიტორიის ნაწილი. საბჭოთა სომხეთის წითელმა ნაწილებმა, რომლებიც იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოეწყო, მამაცური წინააღმდეგობა გაუწიეს დაშნაკთა ბანდებს, მედგრად იცავდენ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, 45 დღეს გმირულად გადაიტანეს შიმშილი და სიცივე, ამასთან განიცდიდენ საომარი მასალის ნაკლებობას, მოწყვეტილი იყვნენ წითელი არმიის ნაწილებს. მიუხედავად ამისა, ისინი საბჭოთა ტერიტორიას იცავდენ მანამდე, სანამ მე-11 არმიის ნაწილები მიეშველებოდენ. სომხეთი ორი აპრილისათვის საბოლოოდ იქნა გაწმენდილი დაშნაკთა ბანდებისაგან.

მე-11 წითელი არმიის ნაწილები მოევლინენ ამიერ-კავკასიის მშრომელთა დასახმარებლად მათ ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ, როგორც საუკეთესო მეგობრები და ძმები. ამიერ-კავკასიის მშრომელებისადმი დახმარების აღმოჩენით მე-11 წითელმა არმიამ შეასრულა თავისი მოვალეობა, როგორც ინტერნაციონალურმა არმიამ, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის არმიამ.

ამგვარად, 1918 წელმა წარმოშვა ჩვენი არმია ჩრდილოეთ კავკასიაში. ასტრახანის ველებზე გადატანილმა გასაჭირმა ვერ გატეხა იგი. ასტრახანის მიჯნასთან და ვოლგის ნაპირებზე 1919 წელს არმიის ნაწილებმა საუცხოვო ბრძოლის სკოლა განვლეს და თავის ისტორიაში მთელი რიგი სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს. 1920 წლის გაზაფხულზე არმია ზეიმობდა თეთრების გაქცევას, ბაქოში 1920 წლის აპრილს მოხდარი პროლეტარული აჯანყების წითელმა განთიადმა გაანათა არმიის საბრძოლო დროშები.

სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს მშრომელთა განთავისუფლება მე-11 არმიის, როგორც მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის არმიის, უდიდესი დამსახურებაა.

სახელოვანი საბრძოლო მუშაობისათვის ჯერ კიდევ 1920 წელს რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭო „ესალმება სახელოვან მე-11 არმიას მის წლისთავზე და ადგენს საბჭოთა რესპუბლიკის და მსოფლიო რევოლუციის წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად გადასცეს მას წითელი დროშა წითელი დროშის ორდენით".

1928 წელს კავკასიის წითელდროშოვან არმიის მე-5 წლისთავზე საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით ჩვენი არმია კვლავ დაჯილდოვებულ იქნა წითელი დროშის ორდენით და მას ეწოდა კავკასიის წითელდროშოვანი არმია.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

თურქეთის რესპუბლიკის 10 წლისთავის დღესასწაული

ამხ. ვოროშილოვი ჯარების საზეიმო აღლუმზე ანკარაში

ანკარა, 29 ოქტომბერი. ათი წლის თავის დღესასწაული გადაიქცა იმის მძლავრ დემონსტრაციად, რომ ახალი თურქეთი მზად არის დაიცვას დამოუკიდებლობა და განაგრძოს კულტურული და ეკონომიური განვითარების საქმე. დღესასწაულში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საბჭოთა დელეგაციამ ამხ. ვოროშილოვის მეთაურობით. საყოველთაო ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ჩამწკრივებული ჯარის, ბოისკაუტების და დემონსტრანტების ფრონტის ჩამოვლაში მუსტაფა ქემალ-ფაშასთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა ამხ. ვოროშილოვი. ამხ. ვოროშილოვი და ისმეტ-ფაშა ერთად ისხდენ ავტომობილში, რომელიც მიჰყვებოდა მუსტაფა ქემალ-ფაშას ავტომობილს გენერალური შტაბის უფროსის ფევზი-ფაშას თანხლებით. [illegible] მიმართულ ოვაციებთან ერთად ჯარი და დემონსტრანტები ესალმებოდენ ამხ. ვოროშილოვს. ცერემონიალური მარშის და დემონსტრაციის გავლის დროს ვოროშილოვი იდგა მუსტაფა ქემალ ფაშას გვერდით, რომელიც უხსნიდა მას აღლუმის მიმდინარეობას. იქვე ტრიბუნაზე იმყოფებოდა საბჭოთა დელეგაცია მთელი შემადგენლობით. აღლუმმა ამხ. ვოროშილოვზე საუცხოვო და ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ყურადღებას იპყრობს ჯარების მსვლელობის ნამდვილი სანიმუშო წესრიგი, ასკერების მხნე შესახედაობა, აზრიანი გამომეტყველება, სჩანს დისციპლინა, ჯარი კარგადაა გაწვრთნილი, ასკერების ჩაცმულობა და იარაღი საუცხოვოა, კავალერიას კარგი ცხენები ჰყავს.

აღლუმი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა ასზე მეტი თვითმფრინავი, სრული არტილერია და დამხმარე ნაწილები, მოწმობს იმ მუშაობის დიდ შედეგებს, რომელიც ჩატარებულია ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის. დემონსტრაციის გრანდიოზულობა. ბოისკაუტების, მოსწავლეების თურქეთის ყველა კუთხიდან ჩამოსულ მრავალ ათას გლეხთა დელეგაციების, ანკარის და მახლობელი სოფლების მოსახლეობის მსვლელობა ჯარების შემდეგ, ქალების მონაწილეობა ზეიმში მამაკაცებთან თანაბრად — ყოველივე ეს წარმოადგენს იმ კულტურულ პოლიტიკური მუშაობის შედეგების ილუსტრაციას, რომელიც ჩატარდა ათი წლის განმავლობაში თურქეთის განსათავისუფლებლად იმპერიალიზმის, ძველი რეჟიმის, ჩაგვრისაგან და საუკუნოებრივი ცრუმორწმუნეობისაგან. საბჭოთა კავშირის მიერ ნაჩუქარი სამი თვითმფრინავის გამოჩენამ აღლუმზე დიდი ინტერესი გამოიწვია და მათ ტაშით ესალმებოდენ.

ხალხი, რომლითაც გაჭედილი იყო ქუჩები აღლუმის დღეს, მხურვალედ ესალმებოდა ამხ. ვოროშილოვს მისი აღლუმზე გამგზავრების და უკან დაბრუნების დროს. (ადს).

გაზი მუსტაფა ქემალ-ფაშას სიტყვა

ანკარა, 29 ოქტომბერი. როგორც ანატოლიის სააგენტო იუწყება, გაზი მუსტაფა ქემალ-ფაშამ ჯარების აღლუმზე წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„თურქო ხალხო, ხუთმეტი წლის წინად ჩვენ დავიწყეთ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. დღეს ჩვენი რესპუბლიკის ათი წლის თავის დიდი დღესასწაულია. გისურვებთ საბედნიეროდ იზეიმოთ იგი. იმის შეგნება, რომ ამ ბედნიერ დღემდე მოვაღწიე, მე როგორც თურქეთის დიდ სახელმწიფოს მოქალაქეს, სიხარულით ავსებს.

თანამოქალაქენო! მოკლე ხანში ჩვენ ბევრი მშვენიერი საქმე შევასრულეთ. მათ შორის ყველაზე დიდია თურქეთის რესპუბლიკის შექმნა, რასაც საფუძვლად უდევს თურქი ხალხის გმირობა და მაღალი კულტურა. რესპუბლიკის წარმატებით შექმნას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ერის [illegible] და მის მამაც არმიას, რომელიც ერთან ერთად ერთსულოვნად იბრძოდა ამ მიზნის მისაღწევად. მაგრამ ჩვენი მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ, საკმარისი არ არის. ჩვენ გამსჭვალული უნდა ვიყოთ მტკიცე მონდომებით გავაკეთოთ მეტი და უკეთ. ჩვენ გვსურს ავწიოთ ჩვენი სამშობლო მთელ მსოფლიოს ყველაზე უფრო განვითარებულ და ცივილიზებულ ქვეყნების დონემდე. ჩვენ გვსურს მივანიჭოთ ჩვენს ხალხს უაღრესად ფართო საშუალებები და წყაროები კეთილდღეობისათვის. ჩვენ გვსურს ავწიოთ ჩვენი კულტურა თანამედროვე კულტურის დონეზე ზევით. ამისათვის ვადების გამოანგარიშებისას ჩვენ არ უნდა ვიხელმძღვანელოთ წარსული საუკუნეების გამხრწნელი კონცეპციით, არამედ შევეგუოთ იმ საუკუნის ტემპებს, რომელშიაც ვცხოვრობთ. წარსულთან შედარებით უფრო მეტი ვიმუშაოთ, რომ ნაკლებ ვადებში უფრო დიდი საქმეები განვახორციელოთ. ეჭვი არ მებადება, რომ ამაშიაც სრულ წარმატებას მივაღწევთ, რადგან თურქი ხალხი მშრომელია, ჭკუიანია და ეროვნული გაერთიანების შემწეობით და საერთო ძალღონით ყველა სიძნელეს გადალახავს. თურქი ხალხი მშრომელია, ჭკუიანია და ეროვ. გაერთიანების შემწეობით და საერთო რაოდენი. მაღალი მორალის ადამიანთა ამ საზოგადოებაში მე განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ თურქი ხალხის ერთ-ერთი ისტორიული თვისებაა მისი სიყვარული კაზმული ხელოვნებისადმი. ამიტომ ჩვენ ვისწრაფვით, რომ ყოველი საშუალებით განვავითაროთ ჩვენი ხალხის მაღალი თვისებები, მისი დაუღალავი შრომის—უნარიანობა, მისი ჭკუა, მისი მიდრეკილება მეცნიერების და კაზმულ ხელოვნებისაკენ, მისი ეროვნული ერთიანობის გრძნობა.

ამ იდეალის სრული მიღწევა, რომელიც სავსებით შეეფერება თურქი ხალხის სულს, უზრუნველყოფილი იქნება სოციალური მოვალეობის შესრულებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხელი შეეწყოს მთელი კაცობრიობის კეთილდღეობას და მყუდროებას.

დიდო თურქო ხალხო! 15 წლის ბრძოლის განმავლობაში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, შენ ჩემგან გსმენია წარმატების დაპირებანი. ბედნიერი ვარ, რომ არც ერთი ჩემი დაპირებათაგანი შეუსრულებელი არ აღმოჩნდა და რომ მე ხალხის ნდობა გავამართლე. იმავე რწმენით, იმავე სიძლიერით ვაცხადებ: ცივილიზებული მსოფლიო კვლავ აღიარებს, რომ თურქი ხალხი, რომელიც შემჭიდროებულად მიდის თავისი იდეალისაკენ, დიდი ერის სახელწოდების ღირსია. მე ერთი წუთითაც არ მებადება ეჭვი, რომ თურქი ხალხის თვისებანი და ცივილიზატორული ნიჭი, რაც რამდენიმე ხნით მივიწყებული იყო, თავისი განვითარების შედეგად განათდება ცივილიზაციის მსოფლიოში, როგორც ყოვლის განმანათლებელი მზე.

თურქო ხალხო! მთელი სულით და გულით მსურს, რომ მარადისობისაკენ მიმავალ ათეული წლების განმავლობაში შენ შეგეძლოს ამ დიდი ეროვნული დღესასწაულის ზეიმობა კიდევ უფრო მეტი სახელით, კიდევ უფრო მეტი ბედნიერების, მშვიდობიანობის და აყვავების პირობებში. ბედნიერია ის, ვინც თავის თავს თურქს უწოდებს" (ადს).

დიპლომატიური კორპუსის მიღება დიდ ეროვნულ კრებაში

ამხ. სურიცის სიტყვა

ანკარა, 29 ოქტომბერი. ანატოლიის სააგენტო იუწყება:

„9 საათსა და 15 წუთზე გაზი მუსტაფა ქემალმა დიდ ეროვნულ კრებაში მიიღო დიპლომატიური კორპუსი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა, როგორც დიპლომატიური კორპუსის მამასახლისმა, წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„თქვენს აღმატებულებასა და თურქეთის მთავრობასთან მივლინებული დიპლომატიური კორპუსის სახელით პატივი მაქვს და სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი მხურვალედ მოგილოცოთ როგორც ჩვენი სახელით, ისე ჩვენ ხალხთა სახელითაც. მე და ჩემი კოლეგები იმის ცოცხალი მოწმენი ვიყავით, — ამ წლების განმავლობაში თქვენი განათლებული და გამჭრიახი ხელმძღვანელობით და თქვენი თანაშემწეების ხელმძღვანელობით თქვენი ქვეყანა როგორ ვითარდებოდა კულტურის და ეკონომიკის დარგში, განუწყვეტლად მიიწევდა წინ პროგრესის გზაზე და ანხორციელებდა თქვენ მიერ შთაგონებულ პირველ პოლიტიკურ აქტებში დასახულ მიზნებს. მორალური მნიშვნელობის გარდა, თქვენს წარმატებებს სხვა ხალხებისათვის აქვთ აგრეთვე მატერიალური ღირებულებაც, რადგან ისინი წარმოადგენენ დიდ განძს მსოფლიო პროგრესის საქმეში და ხელს უწყობენ სხვა ქვეყნების კულტურულ და ეკონომიურ განვითარებას და საყოველთაო მშვიდობიანობის საქმეს. კიდევ ერთხელ მოგილოცავთ რა ამ დიად დღეს, მე ჩემი სახელით და ჩემი კოლეგების სახელით გამოვთქვამ რწმენას, რომ თქვენი ხელმძღვანელობით დაწყებული საქმე უფრო განვითარდება და თქვენ მიაღწევთ ახალ წარმატებებს თურქი ხალხის და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ წარმატებათა შედეგად თურქი ხალხი ამაღლდება კეთილდღეობის უფრო მაღალ საფეხურზე, რაზედაც მას უფლება აქვს თავისი მდიდარი ისტორიული წარსულის და უკანასკნელ წლებში მის მიერ მიღწეულ წარმატებათა მიხედვით. მე ბედნიერი ვარ, ბატონო პრეზიდენტო, გულითადად და მხურვალედ გისურვოთ შემდგომი წარმატებანი, ჯანმრთელობა, ძალღონე იმ ნაყოფიერი მუშაობისათვის, რომელსაც ამჟამად აწარმოებთ".

მუსტაფა ქემალ-ფაშას საპასუხო სიტყვა

„მე მხურვალე მადლობას ვუცხადებ დიპლომატიურ კორპუსს თქვენი მეშვეობით გამოცხადებული მილოცვებისა და სურვილებისათვის. განსაკუთრებით მადლობას გიცხადებთ თქვენ თქვენი თავაზიანი სიტყვებისათვის. დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ რესპუბლიკის შექმნის ათი წლისთავს. როგორც ახალი რეჟიმის წარმოშობის და ევოლუციის უშუალო მონაწილე, მე ბედნიერი ვარ მივესალმო თქვენი სახით დიპლომატიური კორპუსის სახელოვან მამასახლისს და ჩვენი ქვეყნის ნაცად მეგობარს. განსაკუთრებით სასიამოვნოა ასეთ მომენტში გარემოცული იყო დიპლომატიური კორპუსის წევრებით, რომელთაც მე გულითადად მივესალმები. ჩვენი საგარეო პოლიტიკა არასოდეს არ გადაცდენია იმ გზას, რომელიც დასაწყისიდანვე იყო დასახული. იგი ყოველთვის ესწრაფოდა ქვეყნის გადაქცევას სახალხო აყვავების ქვეყნად. ვუსურვოთ ასეთი განვითარება ყველა ხალხს. მე თქვენ გთხოვთ გადასცეთ თქვენს მთავრობებს ჩემი მადლობა, აგრეთვე თურქი ხალხის მადლობა ამ სურვილების და მეგობრობისათვის, რაც ჩვენ მიმართ გამოჩენილ იქნა.

მე მსურს ბატონო მამასახლისო, გამოვთქვა თქვენდამი ჩვენი კმაყოფილება თანამშრომლობის და მეგობრობის განმტკიცებისაკენ მიმართული თქვენი მეცადინეობის გამო. თურქეთის რევოლუციას კონსტრუქტიული ხასიათი აქვს იგი მაღალ-კაცობრიულ [illegible] ალთან დაკავშირებული პატრიოტიზმის ქმნილებაა. იგი ასწავლის თავის შვილებს ხელოვნებას დაინახონ მთელი სიმშვენიერე და მთელი სიდიადე და თანაუგრძნონ ყველა უბედურებას, როგორც ამ რევოლუციის თავგამოდებული მოღვაწე, მე მსოფლიოს გულრწფელობით, ლოიალობით და მეგობრობით ვუმზერ. მე უკეთ არ შემიძლია გამოვხატო ჩემი გრძნობები თქვენი ქვეყნის მიმართ ვიდრე ამ გულწრფელი განცხადებით ენთუზიაზმისა და ზეიმის დღეს" (ადს).

ხეტყის სახერხმა ქარხნებმა წლის ბოლომდე უნდა დაფარონ ჩამორჩენა

უვარგისი ხელმძღვანელობის შედეგი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ოთხი წელია, რაც ბაღდათის რაიონში დაარსდა სატყეო-სარეწაო-კოოპერატიული მეურნეობა. ამ ხნის განმავლობაში მეურნეობის დირექციას გადაჭრით უნდა გაეუმჯობესებია ხელმძღვანელობა თავის სამ ქარხანაზე. უნდა გაეფართოებია მათი მუშაობის მასშტაბი, მოეხდინა ქარხნების მექანიზაცია და შეექმნა მუშათა დამაგრებისათვის სათანადო პირობები. საჭირო იყო მონდომება, ბოლშ. უნარი, რომ ბაღდათის რაიონი, რომელსაც ამის შესაძლებლობა აქვს, ხე-ტყის დამზადების მთავარ მეურნეობად გამხდარიყო.

სატყეო მეურნეობის დირექციამ, მართალია, პირველ ხანებში სერიოზულად მოჰკიდა ხელი მუშაობას, შეაკეთა ქარხნები, ნაწილობრივ შეიძინა ტრანსპორტი, მოაგვარა ხე-ტყის დაცურების საქმე, მაგრამ ასეთი მუშაობა ბოლომდე არ გაგრძელებულა.

სამ სახერხ ქარხანას (ბაღდათში, გურთაში და თელასხიდში) მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უნდა დაეხერხა 1375 კუბ. მეტრი ხე-ტყე, მაგრამ ქარხნების ხელმძღვანელებმა, დროზე ვერ იზრუნეს ხე-ტყის მომარაგებაზე, რის გამო გეგმა არ იქნა შესრულებული. ქარხნების ადმინისტრაცია ხეტყის გამოზიდვის და დაცურების პერიოდში (აპრილი, მაისი) თვითმდინარეობაზე დაეყრდნო, რის შედეგადაც ხეტყის გამოზიდვის ნახევარი წლ. გეგმა შეუსრულებელია. 6 თვეში 1375 კუბ. მეტრი ხე-ტყის მასალის ნაცვლად დაიხერხა 543 კუბ. მ., ანუ გეგმის 39,5 პროცენტი. ქარხნების ადმინისტრაციის უთაო მუშაობის გამო მდგომარეობას არც მესამე კვარტალში ეტყობა გამოსწორება. მან ვერ უზრუნველყო ქარხნების საჭირო ნედლეულით მომარაგება. ამის გამო მესამე კვარტალში გეგმა შესრულებულია 47 პროცენტით.

ხე-ტყის კოოპმეურნეობის დირექცია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და მუშა-ხელის ორგანიზაციულად შეგროვებისადმი უყურადღებობას იჩენს. ქარხნებში ადგილი აქვს მუშათა ძლიერ დენადობას. ქარხნები სატრანსპორტო საშუალებათა ნაკლებობას განიცდიან. საკვების უქონლობის გამო ცხენებს მუშაობა არ შეუძლიათ. ქარხნებს არ ყოფნით კვალიფიციური მუშა-ხელიც. ქარხნებში ადგილი აქვს მექანიზმების გაუპიროვნებას, სახერხი დაზგები დაზიანებულია, სისტემატიურად ჩერდება და მათ შეკეთებაზე ქარხნის ადმინისტრაცია არ ზრუნავს. სუსტია პარტმასობრივი და პროფ-მუშაობა. ბაღდათის კომუჯრედის მდივანს იშვიათად ნახავთ ქარხნებში. ამის შედეგია ქარხნებში პოლიტაღმზრდელობ. მუშაობის სისუსტე. ქარხკომებს აღრიცხული ჰყავთ სოცშეჯიბრება-დამკვრელობაში ჩაბმული მუშები, მაგრამ აღებული ვალდებულებების შესრულების შემოწმებაზე დღემდე არავის უფიქრია.

ქარხნებში არ წარმოებს კულტმასობრივი მუშაობა. აქ ვერ ნახავთ რაიმე ლიტერატურას. გაზეთებს 10—12 დღის დაგვიანებით ღებულობენ, სამ თვეზე მეტია, რაც კედლის გაზეთები არ გამოსულა.

აღსანიშნავია სატყეო სარეწაო კოოპმეურნეობის დირექციის დაუდევრობა. ჩამოსული სპეციალისტების გამოყენების საქმეში. საქ. სატყეო კავშირის მიერ ქარხნების ტექნიკურ ხელმძღვანელად გამოგზავნილი ამხ. **რონიაშვილი** თავის თანამდებობაზე არაა გამოყენებული. სატყეო სარეწ-კოოპმეურნეობის დირექტორი ამხ. **ჯაფარიძე** შეთავსებით მუშაობს ხანჭესის მშენებლობაზე, სარეწკოოპმეურნეობის ხელმძღვანელობა კი სახვათაშორისოდ მიაჩნია. ხოლო ნაძვის, წიფლის და სხვ. ჯიშის მორები ლპება გადაზიდვის შეფერხების გამო. ბაღდათის რაიონის სატყეო კოოპმეურნეობის დირექცია თავს არ იწუხებს, არ იღებს საჭირო ზომებს დაგროვილი ხე-ტყის გამოსაზიდათ და ნედლეულით ქარხნების უზრუნველსაყოფად.

ბაღდათის სატყ. სარეწ. კოოპერატიული მეურნეობაში არსებული მდგომარეობა მოითხოვს ზემდგომ ორგანოების სასწრაფო ყურადღებას ქარხნებისა და სატყეო მეურნეობის მუშაობის გარდასაქმნელად ა.-კ. სამხარეო კომიტეტის 4 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე.

ვ. ლალიაშვილი

დროა ბოლო მოეღოს ჩამორჩენას

მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკა სისტემატიურად ვერ აღწევს თავს სამარცხვინო გარღვევებს. პირველ კვარტალში ფაბრიკას უნდა გამოეშვა 30 000 ცალი სკამი, ფაქტიურად გამოუშვა 25 475 ცალი, გეგმის 85 პროც. მეორე კვარტალში ფაბრიკის საწ. საფ. გეგმის შესრულება მხოლოდ 60 პროც. უდრის. 45 000 ცალი სკამის ნაცვლად გამოშვებულია 27 192. უარესი მდგომარეობაა მესამე კვარტალში. საწ. საფ. გეგმის შესრულება მხოლოდ 31 პროცენტს უდრის. ნაცვლად 51 000 სკამისა გამოშვებულია 15 810 ცალი.

საწ.-საფ. გეგმის შეუსრულებლობამ გამოიწვია შრომის ნაყოფიერების შემცირება. პირველ კვარტალში ერთ მუშას დღეში უნდა გამოემუშავებია 11 მან. და 43 კაპ. პროდუქცია. ფაქტიურად, გამომუშავება უდრიდა 10 მან. და 22 კაპ., რაც გეგმის 89,4 პროც. შეადგენს. მეორე კვარტალში დღიური გამომუშავება თითო მუშაზე 11 მან. და 45 კაპ. პროდუქციის ნაცვლად 9 მან. და 66 კაპ. იყო, ე. ი. გეგმის 85 პროც. გაცილებით უარესია მდგომარეობა მესამე კვარტალის საწ.-საფ. გეგმის შესრულებისა და შრომის ნაყოფიერების დარგში.

საწ.-საფ. გეგმის შეუსრულებლობამ გამოიწვია გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების გადიდება, 1-ლ კვარტალში ერთი სკამი 11 მან. და 79 კაპ. უნდა ღირებულიყო, ფაქტიურად ღირდა 12 მანეთი 88 კაპ., მეორე კვარტალში — 13 მანეთი 46 კაპ., ხოლო მესამე კვარტალში ერთი სკამის ღირებულება 17 მანეთამდე ავიდა.

ფაბრიკის ასეთი ჩამორჩენა გამოწვეულია ხელმძღვანელობის ბიუროკრატული მუშაობით. ფაბრიკის დირექციამ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა ისე, რომ კონკრეტულად ხელმძღვანელობდეს მთელ საწარმოო პროცესებს.

მარელისის ფაბრიკის მუშაობის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ა. კ. სამხარეო კომიტეტის უკანასკნელი დადგენილების შემდეგ, ფაბრიკაში გეგმების შესრულების მხრივ ერთგვარი გარდატეხა მოხდა. ყოველდღიურად მზადდება 500-600-700 სკამი. ეს შედეგია ა. კ. სამხარეო კომიტეტის წარმომადგენლების და რაიონული კომიტეტის ოპერატიული ხელმძღვანელობისა.

სამხარეო კომიტეტის დადგენილების შემდეგ მარელისის ფაბრიკას ხარაგოულის პარტრაიკომმა მისცა 225 კაცი, მაგრამ ფაბრიკის დირექცია ამ მუშებს ვერ იყენებს სათანადოდ, რის გამო მუშათა ხშირი ცვალებადობას აქვს ადგილი. ფაბრიკის სამეურნეო, პარტიული და პროფ. ორგანიზაციების ხელმძღვანელები არავითარ ზომებს არ ღებულობენ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ფაბრიკაში სუსტია კულტურული მუშაობა; მოუგვარებელია მუშათა კვებისა და ბინების საქმე. ფაბრიკის მუშაობას აფერხებს აგრეთვე ხე-ტყის ნედლეულის დროზე მიუღებლობა.

საჭიროა საქ. კ. პ. (ბ) ხარაგოულის რაიონულმა კომიტეტმა და ფაბრიკის სამკუთხედმა სასწრაფოდ მიიღონ ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს გარღვევიდან ფაბრიკის გამოყვანას.

აკაკი ჭანკოტაძე
დ. გაბრიაძე

ახალქალაქის რაიონის მეცხოველეობის 1-ლი კონფერენციის მისალმება

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანს ამხ. ლ. ბერიას
საქ. ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს.
საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გ. მგალობლიშვილს
საქ. მიწათმოქმედების სახ. კომისარს ამხ. შ. მათიკაშვილს

ჩვენ, კოლმეურნეობათა წარმომადგენლები, საკოლმეურნეო სახაქონლო ფერმების გამგეები და ბრიგადირები, შევიკრიბეთ რა ახალქალაქის რაიონის მეცხოველეობის 1-ლ კონფერენციაზე, გიგზავნით თქვენ, ჩვენს ხელმძღვანელებს, მხურვალე სალამს. პარტია და ხელისუფლება მოითხოვენ ჩვენგან მეცხოველეობის გადაჭრით ამაღლებას. ამ საპასუხისმგებლო ამოცანის შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობაა პირუტყვის საზამთროდ დაბინავება. ჩვენს მუშაობას საფუძვლად დავუდეთ საქ. კ. პ. (ბ) ც; კ-ის გადაწყვეტილება ამ საკითხის შესახებ და კონფერენციაზე დაწვრილებით დავამუშავეთ ზოოტექნიკის ყველა ღონისძიებები და დეტალები, რომლებზედაც დამოკიდებულია მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და პროდუქტიულობის გადიდება.

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ნამატის შენარჩუნების და გამოზრდის საკითხებს. კოლმეურნეობათა საწარმოო თათბირებზე და მშრომელ ერთპიროვნულ გლეხთა შორის კონფერენციის მასალების ფართო განხილვის ორგანიზაციით ჩვენ მივაღწევთ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხთა მუშაობის გარდაქმნას პირუტყვის მოვლა-პატრონობის საქმეში ზოოტექნიკის მოთხოვნებთან სრული შეფარდებით.

დარწმუნებული ვართ, რომ კონფერენციაზე მიღებული ყველა ღონისძიების ოპერატიულად ჩატარება, კოლმეურნეთა და მშრომელ - ერთპიროვნულ გლეხთა აგრო და ზოოტექნიკური დონის ასამაღლებლად წარმოებულ მუშაობასთან ერთად, ჯერ კიდევ 1934 წლის დამდეგისათვის შექმნის გარდატეხას მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

ვემზადებით რა რესპუბლიკანურ სოცშეჯიბრებაში პირუტყვის საზამთროდ უკეთ დაბინავებაზე, ვკისრულობთ ვალდებულებას — ბოლშევიკურად შევასრულოთ შრომა მეცხოველეობის ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლების გადაჭრით გაუმჯობესების შესახებ.

ჩვენი საყვარელი ბელადის ამხ. **სტალინის** ლოზუნგის — გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეურნეობად და ყოველი კოლმეურნე შეძლებულად, — განუხრელად გატარებით ჩვენ მოვიპოვებთ გამარჯვებას მეცხოველეობის ფრონტზე ისევე, როგორც მთელმა ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა გამარჯვება მარცვლეულის მეურნეობის დარგში.

კონფერენციის პრეზიდიუმი

ტფილისის საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის პლენუმის დადგენილებათა რეალიზაციისათვის

უზრუნველვყოთ ქუჩების მშენებლობა ტრანსპორტით, მუშა-ხელით და საშენი მასალებით

ახალ სანაპირო ქუჩის სამუშაოებზე მუშა ხელი აკლიათ

ოქტომბერში მუშა - ხელის სიმცირემ გამოიწვია ახალი სანაპირო ქუჩის სამუშაოთა გეგმების შეუსრულებლობა. გეგმის მიხედვით ყოველდღიურად უნდა ჰყოლოდათ 204 კაცი, ხოლო ნამდვილად მუშა-ხელის საშუალო რიცხვი არ ასცილებია 120 კაცს.

ძირითადი სამუშაოები წარმოებდა შემდეგ მთავარ ობიექტებზე — დამბაზე, სანიაღვრე მიწისქვეშა არხზე, რომელმაც კარისჭალის ქუჩა უნდა შეუერთოს მდ. მტკვარს, სანიაღვრე მილის გაყვანაზე საინჟინრო ქუჩასთან და სხვ. ახალი დამბის ასაგებად მდინარეში უნდა ამოეყვანათ 193 ცალი საყრდენი ბოძი (გეგმა შესრულებულია 88 პროც.), უნდა შეესრულებინათ 740 კუბ. მეტრის მოცულობის მიწის სამუშაოები (შესრულებულია 68,9 პროც.), არსებული დამბის სამუშაოები შესრულებულია 60,3 პროცენტით, ქუჩის დონის ასამაღლებლად საჭირო მიწის სამუშაოები — 45 პროცენტით, ბორდიურების მოწყობის თვიური დავალება—15 პროცენტით და სხვ.

ახალი დამბის ამოსაყვან სამუშაოებს ხელი შეუშალა წყალსაქაჩის მოუმზადებლობამ. დამბის კედლის საძირკვლისთვის ამოთხრილ მიწაში ამოსული წყალი არ იძლეოდა მუშაობის საშუალებას, ხოლო წყალსაქაჩი მოტორი ჩქარა ვერ დადგეს, რომ წყალის ამოქაჩვა დაუყოვნებლივ დაეწყოთ და საძირკვლის ჩაყრა არ დაებრკოლებინათ. არ ჰყავდათ აგრეთვე კალატოზები; არსებული დამბის დასამთავრებელ სამუშაოებზე მთელი თვის განმავლობაში მუშაობდა სულ კალატოზების ორი ბრიგადა, ოთხი ბრიგადის მაგიერ.

მუშა - ხელის შეგროვების საქმე აქ ცუდათაა დაყენებული. წალკის რაიონში გაგზავნილმა მუშა - ხელის შემგროვებლებმა 200 კაცის მაგიერ შეაგროვეს და გამოაგზავნეს 24 კაცი; საჭიროა განსაკუთრებული დახმარება, ახალი სანაპირო ქუჩის სამუშაოებისათვის საკმაო რაოდენობის მუშა - ხელის მისაწოდებლად. უამისოდ, სამუშაოებზე ვერ იქნება ათვისებული გადადებული თანხები.

სატრანსპორტო ორგანიზაციები არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს

„კომუნისტში" უკვე აღნიშნული იყო, რომ მთელი რიგი სატრანსპორტო ორგანიზაციები არ ასრულებენ საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის და ტფილისის საბჭოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს ახალი სანაპირო ქუჩის გასაყვან სამუშაოთა დასაჩქარებლად ავტოტრანსპორტის გამოყოფის შესახებ. მოსალოდნელი იყო, „კომუნისტის" სიგნალს გამოეხმაურებოდენ ტფილისის სატრანსპორტო ორგანიზაციები და შეუდგებოდენ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც საქმით გამოეხმაურა ამ სიგნალს და რომელიც პირნათლად ასრულებს სანაპირო ქუჩის სამუშაოთათვის ავტოტრანსპორტის მიწოდების გეგმას — არის „ნეფტებურმაში" (დირექტორი ამხ. ბურეში).

ამხანაგობა „მოტორმა" სულ უარი განაცხადა ნაკისრ ვალდებულებებზე; ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებენ აგრეთვე საქ. სააფთიაქო სამმართველო, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის, იმავე ფაბრიკის მუშათა დახ. კოოპერატივის საქვაბრობის საქ. მარაგასაღების, მაუდკამვოლის ფაბრიკის, ბორჯომმინწყალის სამმართველოს, თამბაქოს ტრესტის, ბამბის ფაბრიკის და საკინომრეწველის სატრანსპორტო სექტორები.

იმის გამო, რომ ეს ორგანიზაციები, მათთვის გამოყოფილ დღეებში არ აგზავნიდენ ავტომობილებს, ახალი სანაპირო ქუჩის სამუშაოთა სამმართველომ ვერ შესძლო დროულად მოემარაგებინა საჭირო საშენი მასალა (ხე-ტყე, ცემენტი და სხვ.), რამაც დააბრკოლა ოქტომბრის გეგმის შესრულება. ტრანსპორტის სიმცირის გამო შეუსრულებელია აგრეთვე ქუჩის ზედაპირის ასამაღლებლად საჭირო მიწის სამუშაოები (მოთხრილი მიწის მოზიდვა, და დაყრა).

საჭიროა პასუხი მოეთხოვოთ ზემოთდასახელებული ორგანიზაციების სატრანსპორტო სექტორების ხელმძღვანელებს იმ უყურადღებობისათვის, რომელსაც ისინი იჩენენ ახალი სანაპირო ქუჩის სამუშაოებისადმი და რაც აბრკოლებს სამუშაოთა წარმატებას.

მ. როზინოვი.
(ახალი სანაპირო ქუჩის სამუშაოთა ტრანსპორტის გამგე).

კალიაევის აღმართის გაფართოება ბრკოლდება

ოქტომბრის განმავლობაში კალიაევის აღმართის გასაფართოებლად უნდა შესრულებულიყო შემდეგი სამუშაოები: საყრდენი კედლის ასაგებად უნდა ამოეთხარათ მიწა და, დაენგრიათ კლდე—749 კუბ. მეტრის მოცულობისა, აეშენებინათ საყრდენი კედელი 1400 კუბ. მეტრის მოცულობით, ნოემბრის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოებისათვის მოემარაგებინათ დამხმარე საშენი მასალა, დაენგრიათ ის სახლები, რომელთა აღებაც აუცილებელია საყრდენი კედლის გაყვანასთან დაკავშირებით და სხვ.

ფაქტიურად კი საყრდენი კედლის სამუშაოები შესრულებულია 889 კუბ. მეტრის მოცულობით (დანაკლისი უდრის 511 კუბ. მეტრს), მიწის სამუშაოები შესრულებულია 89 პროცენტით. საერთოდ, ოქტომბრის განმავლობაში აღმართის გასაფართოებელ სამუშაოებზე ათვისებული უნდა ყოფილიყო 200.000 მანეთი, ნამდვილად ათვისებულია 153.000 მანეთი. მთლიანად ოქტომბრის განმავლობაში სამუშაოთა თვიური გეგმა შესრულებულია 70 პროცენტით.

გეგმის შეუსრულებლობის მთავარ მიზეზად გადაიქცა ის გარემოება, რომ 26 კომუნ. სახ. რაისაბჭომ დროულად ვერ მოახერხა ასაღებად გათვალისწინებული სამი სახლიდან მობინადრეების გადაყვანა ახალ ბინებში, ვერ შესძლო აღნიშნული სახლების აღება (რიყის ქუჩა—სახლები № 62, 64 და 66), ხოლო უამისოდ შეუძლებელი გახდა მუშაობის გაცხოველება. აღნიშნული სახლების აღებას რაისაბჭო უნდა შესდგომოდა ჯერ კიდევ სექტემბრის ბოლო რიცხვებში, ხოლო ოქტომბრის პირველ დეკადაში საყრდენი კედლის გასაყვანი გზა თავისუფალი უნდა ყოფილიყო ნაგებობებისაგან.

რაისაბჭომ ახლა მაინც უნდა მიიღოს ზომები, რომ აღნიშნული სამი სახლის აღება უახლოეს დღეებშივე დაამთავროს. თუ სახლების აღება ასე გაჭიანურდა მომავალშიაც, მაშინ საფრთხე მოელის ნოემბრის გეგმის შესრულებასაც. ნოემბრის განმავლობაში აღებული უნდა იქნეს ალაზნის ქუჩაზე 10 სახლი და კალიაევის ქუჩაზე 2 სახლი.

მაგრამ მარტო სახლების აუღებლობას არ გამოუწვევია კალიაევის აღმართის თვიური საამშენებლო გეგმის შეუსრულებლობა. სამუშაოთა ხელმძღვანელობამ ვერ შესძლო მუშა - ხელის შეგროვება და ამ მხრივ ისინი ახლაც დიდ დანაკლისს განიცდიან. 196 კაცის ნაცვლად ოქტომბრის განმავლობაში ყოველდღიურად 120 კაცი მუშაობდა.

ნოემბრისათვის გათვალისწინებულია საყრდენი კედლის აგება 2241 კუბ. მეტრის მოცულობით, მიწის სამუშაოების შესრულება — 4.623 კუბ. მეტრის მოცულობით და სხვ. საამისოდ სამუშაოებზე საჭირო იქნება ყოველდღიურად 360 მუშა. ნოემბერში სულ შესრულებული უნ და იქნეს 400.000 მანეთის სამუშაოები, ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე ოქტომბერში. მთავარი ამოცანა ისაა, რომ ნოემბრის სამუშაოების შესასრულებლად ახლავე იქნეს გამონახული მუშა - ხელი და აღებული ყველა ის სახლი, რომლებიც დააბრკოლებს მუშაობის გაჩაღებას.

კალიაევის აღმართის გასაფართოებელი სამუშაოებისათვის საჭირო მუშა - ხელის შესაგროვებლად გაგზავნილი არიან წარმომადგენლები ახალციხის რაიონში. ახალციხის რაიონულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ 200 კაცის გამოგზავნა მაინც, რომ საამშენებლო გეგმის შესრულება ნოემბერში არ ჩაიშალოს.

დ. ლომთაძე.

ლენინის რაიონში (ტფილისი) დამთავრდა ახალი ოთხ სართულიანი სახლის აგება ა.-კ. საგზაო საინჟ. ინ-ტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისათვის. საერთო საცხოვრებელში მოწყობილია აბაზანები, სასადილო, სამკითხველო და სხვ.
სურათზე: საერთო საცხოვრებლის ახლადაგებული შენობა.

გორის სამ.-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილება

ბოლშევიკურ კოლმეურნეობებისათვის ბრძოლაში

გარდაქმნის შემდეგ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მიერ ჩატარებული მუშაობის პირველი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საკოლმეურნეო უჯრედების მდივნების უმეტესობას ჯერ კიდევ არ შეუძლია სწორად გაანაწილოს კომუნისტები წარმოებაში, შეამოწმოს მუშაობის პროცესში მათი ავანგარდული როლი და განახორციელოს ამ სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიების ნამდვილად ბოლშევიკური ხელმძღვანელობა, რომლებიც კოლმეურნეობასა და ბრიგადაში ტარდება. პოლიტგანყოფილება ითვალისწინებდა საკოლმეურნეო პარტუჯრედების მუშაობის ამ ნაკლოვანებებს და სისტემატიურ დახმარებას უწევდა მათ ცოცხალი ხელმძღვანელობის განხორციელების სახით. ინსტრუქტირებასა და პარტმასობრივი მუშაობის დაყენებაში არსებული დეფექტების ადგილობრივ გამოსწორებასთან ერთად, პოლიტგანყოფილება სისტემატიურად ისმენს პოლიტგანყოფილების მუშაკთა თათბირზე საკოლმეურნეო უჯრედთა მდივნების საანგარიშო მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ, აძლევს მათ პრაქტიკულ მითითებებს და შემდეგ უშუალოდ ეხმარება დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაში.

პოლიტგანყოფილების წინადადებით საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის ბიურომ რაიონული პარტაქტივიდან გამოჰყო 45 კაცი, რომელნიც მიმაგრებულ იქნენ დახმარების გასაწევად საკოლმეურნეო უჯრედებსა, პარტჯგუფებსა და პარტკომკავშირულ ბირთვებზე იმ ვარაუდით, რომ მათ თავისი დროის ორი მესამედი კოლმეურნეობებში დაჰყონ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიმაგრებულნი მეტ დროს ატარებენ არა კოლმეურნეობებში, არამედ რაიონულ ცენტრში —გორში, საკოლმეურნეო უჯრედთა მდივნების და პარტჯგუფორგანიზატორების ხარისხის ამაღლების მიზნით, პოლიტგანყოფილების ინიციატივით რაიკომმა პოლიტგანყოფილების განკარგულებაში გაიწვია რაიპარტაქტივიდან 20 კაცი, რომლებიც უნდა გამოგვეყენებია ყველაზე უფრო სუსტ პარტრგოლებში საკოლმეურნეო უჯრედთა მდივნებად და პარტორგანიზატორებად ამ მობილიზებულ ამხანაგებიდან ჩვენს განკარგულებაში ჯერჯერობით გამოცხადდა და ძირეულ პარტმუშაობაზე გაიგზავნა 7 კაცი: 3 — საკოლმეურნეო უჯრედების მდივნებად, 3 — საკანდიდატო ჯგუფების მდივნებად და 1 — კოლმეურნეობის პარტორგანიზატორად.

ამ ამხანაგების შემდგომი მობილიზაცია შეფერხდა, რადგან მათ არ სურთ წავიდენ ძირეულ პარტსამუშაოზე კოლმეურნეობებში, ვინაიდან ეს „სასჯელად" მიაჩნიათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უახლოეს დღეებში დარჩენილი მობილიზებულნიც რაისაკონტროლო კომისიის შემწეობით გაგზავნილ იქნებიან ძირეულ სამუშაოზე.

მდივნების და პარტორგანიზატორების კვალიფიკაციის ასამაღლებლად საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებასთან შეფარდებით. 25-დან 30 ოქტომბრამდე პოლიტგანყოფილება რაიკომთან ერთად აწყობს საკოლმეურნეო უჯრედთა და საკანდიდატო ჯგუფთა მდივნების და პარტკომკავშირული ბირთვის ორგანიზატორების ხუთდღიან კურს-კონფერენციებს 57 კაცისათვის. ამასთან ერთად 16-დან 25 ოქტომბრამდე პოლიტგანყოფილება ატარებს პარტ. და ჯგუფორგანიზატორების ერთდღიან საკოლმეურნეობათაშორისო კურს-კონფერენციებს აგროუბნების მიხედვით 138 კაცისათვის. ამ კურს-კონფერენციებს პოლიტგანყოფილება ატარებს საკოლმეურნეო წარმოების პრაქტიკულ საკითხების გარშემო (მოსავლის განაწილება, საშემოდგომო თესვა, ჭარხლის ამოთხრა და გადაზიდვა და სხვ.), საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის ძირეული კადრების მობილიზაციის მიზნით.

პოლიტგანყოფილებამ, საბჭოთა კავშირის მიწსახკომის პოლიტსამმართველოს ბრძანების საფუძველზე, რაიკომთან ერთად დაამუშავა შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების კონკრეტული გეგმა და მიამაგრა პარტგანათლ. ქსელზე რაიონული პარტაქტივის საუკეთესო ძალები. მეცადინეობის დაწყება საკოლმეურნეო პარტგანათლების ქსელში დაწესებულია 1 ოქტომბრიდან. სამანქანო-სატრაქტორო სადგურის და აგროუბნების ხელმძღვანელი კადრებისა და კოლმეურნეობათა პარტაქტივისათვის განზრახულია სემინარების მოწყობა აგროსაწარმოო უბნების მიხედვით.

სექტემბრის განმავლობაში საკოლმეურნეო უჯრედებში ჩატარდა ერთიანი პარტდღე (25 სექტემბერს) შემდეგი დღის წესრიგით: 1. მომზადება საშემოდგომო თესვისათვის, 2. მოსავლის განაწილების მსვლელობა, 3. შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლება. პარტდღის ორგანიზებულად ჩატარებისათვის რაიკომმა პოლიტგანყოფილების დასახმარებლად მობილიზაცია უყო პასუხისმგებელ მუშაკებს, რომლებიც ჩვენ კიდეც მივამაგრეთ კოლმეურნეობებზე. პარტდღის ჩატარების შედეგებმა გამოააშკარავეს მთელი რიგი არსებითი დეფექტები კოლმეურნეობათა მუშაობაში; ასე, მაგალითად, ზოგი კოლმეურნეობა (ვარიანი, კარალეთი და სხვ.) მთლიანად არ ყოფილა მომზადებული თესვისათვის, ვადაზე არ დაუმთავრებიათ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის — ტრიერების, სათესი მანქანების რემონტი, არ ყოფილა დამთავრებული თესლეულის გაწმენდა და შეწამვლა და სხვ. გარდა ამისა, გამოაშკარავდა ზოგიერთ პარტრგოლში პარტმუშაობის დაყენების სისუსტე, სახელდობრ ზოგი პარტორგანიზატორი არ იცნობდა თავის ბრიგადების საწარმოო დავალებებს და მათი შესრულების მსვლელობას. მოსავლის განაწილებისას ზოგიერთ კოლმეურნეობაში დაშვებულ იქნა შეცდომები: მიმაგრებულნი ხელოვნურად აგვიანებდენ მარცვლეულის მიცემას (ტირიფონის უბანი), ადმინისტრატიულ-სამმართველო პერსონალს შრომა-დღეებს უდიდებდენ, ე. ი. თავმჯდომარეს, მოანგარიშეს ან საწყობის გამგეს შრომა-დღეების მიხედვით მიუღიათ უფრო მეტი, ვიდრე ამ კოლმეურნეობის საუკეთესო დამკვრელებს (კარალეთი, ქვემოსკრა, ზუგდულეთი). პოლიტგანყოფილების მუშაკთა ჩარევის შემდეგ მოსავლის განაწილების საქმეში დაშვებული შეცდომები გამოსწორებულ იქნა.

1 სექტემბრიდან უშუალოდ პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელობით და რაიპარტაქტივის დახმარებით დაიწყო მოსავლის განაწილება. ეს სამუშაო 25 სექტემბრისათვის ძირითადად დასრულდა, და გვაქვს შესაძლებლობა შევაჯამოთ შედეგები. კოლმეურნეობებში მოსავლის განაწილებას თან დევდა კოლმეურნეობის მოწინააღმდეგე და კულაკური ელემენტების აქტივიზაცია, რომელნიც მთელ რიგ კოლმეურნეობებში ცდილობდენ გადაეცდინათ კოლმეურნენი, რათა მათ მოსავალი კულაკური გათანაბრების პრინციპის მიხედვით გაენაწილებინათ. ასე, მაგალითად, სოფ. საქაშეთის კოლმეურნეობაში კოლმეურნეთა ნაწილმა, კულაკურ აგიტაციის ზეგავლენით, მოითხოვა მოსავალი გაენაწილებინათ მთლიანად, ე. ი. ისე, რომ არ აღერიცხათ და მარცვლეულის ნაწილი არ გამოეყოთ გამოსამუშავებელი შრომა-დღეების მოსალოდნელი რაოდენობის მიხედვით (საშემოდგომო სახ.-სამ. კამპანია, მძრალად ხვნა და სხვ.). ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი სოფ. კელქცეულის კოლმეურნეობაში, ამ კოლმეურნეობის მოანგარიშე **ლიაძემ** აიყოლია კოლმეურნეები, რომ მათ მოეთხოვათ მოსავალი განაწილებულიყო მთლიანად განაწილების დღემდე გამომუშავებული შრომა-დღეების მიხედვით. ლიაძემ განაცხადა, რომ „მარცვლეულს, რომელსაც მომავალი შრომა-დღეების ანგარიშში გადავდებთ, სულერთია სახელმწიფო წაიღებს და ჩვენ არაფერი დაგვრჩება"-ო. პოლიტგანყოფილებაში კომკავშირის ხაზით მომუშავე ამხ. **ტუროზაშვილმა**, რომელიც მოსავლის განაწილებას ხელმძღვანელობას უწევდა, იქვე, კოლმეურნეთა საერთო კრებაზე გამოაშკარავა კულაკური აგენტის — მოანგარიშე ლიაძის ნამდვილი სახე: იგი მენშევიკური გვარდიის ყოფილი ოფიცერი აღმოჩნდა. იმავე კრებაზე, კომკავშირული უჯრედის წინადადებით, ლიაძე, როგორც კლასობრივი მტერი, სამუშაოდან მოხსნეს და კოლმეურნეობიდან გამორიცხეს.

მოსავლის განაწილების კულაკური ანტისახელმწიფოებრივი მეთოდის კიდევ უფრო მკაფიო სურათი აღმოაჩინა პოლიტგანყოფილებამ სოფელ შავშვების კოლმეურნეობაში. ამ კოლმეურნეობაში კლასობრივი მტრის აშკარა აგენტის როლში გამოდიოდა თვით კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პარტიის წევრი, რომელმაც სახელმწიფო ვალდებულებათა (კონტრაქტაცია) შესრულებამდე დაუშვა კართოფილის მოსავლის სრული განაწილება. ეს თავმჯდომარე იქამდე მივიდა, რომ კოლმეურნეობის თესლით უზრუნველყოფამდე მთლიანად გაანაწილა კართოფილი. პოლიტგანყოფილების მიერ დასმულ კითხვაზე, რით არის გამოწვეული პარტიის გადაწყვეტილებათა ასეთი უხეში დარღვევა მოსავლის განაწილების საქმეში, თავმჯდომარემ უპასუხა: „რა უნდა მექნა, როცა კრებამ დაადგინა"-ო. მაგრამ იგი ამაოდ ცდილობდა, თავის გამართლებას, რადგან, როგორც გამოირკვა, თავმჯდომარეს კრებაზე არც კი უფიქრია ამ წინადადების წინააღმდეგ გამოსვლა, პირიქით, სიამოვნებით დათანხმდა მას. პოლიტგანყოფილების გადაწყვეტილებით ამ კოლმეურნეობაში კართოფილის თესლი მთლიანად შეგროვილ იქნა და წარმოებს კოლმეურნეობის სამეურნეო მდგომარეობის გამოკვლევა.

შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებისა და მოსავლის განაწილების დროს რამდენადმე გაძლიერდა კოლმეურნეობებში შესვლა. მოეწყო სამი ახალი კოლმეურნეობა: 1. სოფელ წითელ უბანში 56 მეურნეობისაგან, 2. სოფელ ახალშენში 19 მეურნეობისაგან (გადმოსახლდენ რაიონის მთიანი ნაწილიდან, ზემო ახალსოფლიდან და სხვ.) და 3. სოფ. გორისჯვარში 89 ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობისაგან. ამავე დროს კოლმეურნეობებში შევიდა 35 ახალი მეურნეობა ჩვენი შემდგომი ამოცანაა ახლად მოწყობილ კოლმეურნეობების ორგანიზაციული განმტკიცება და კოლმეურნეობათა სამეურნეო - პოლიტიკური განმტკიცების სფეროში სისტემატიური და ენერგიული მუშაობის გზით საუკეთესო მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა ახალი რიგების გაერთიანება კოლმეურნეობებში.

მოსავლიანობის ზრდისა და ამის მიხედვით კოლმეურნის შრომა-დღის შეფასების შეცვლის საილუსტრაციოთ მოგვყავს მოსავლის განაწილების შედეგებს ზოგიერთ კოლმეურნეობაში.

კოლმეურნეობის დასახელება	თავთავიანი კულტურების მოსავალი				1 შრომა-დღეზე მოდის	
	1932 წ.		1933 წ.		1932 წ.	1933 წ.
	დათესილია ჰექტ.	აღებულია მოსავალი	დათესილია ჰექტ.	აღებულია მოსავალი		
1. ახალი ხიზა	74	4773 ფ.	84	7990 ფ.	3,9 გ.	14,5 გ.
2. ზემო-სკრა	48	1733 „	60	4707 „	7,3 „	14,55 „
3. ქვემო-სკრა	81	4509 „	100	6971 „	11,3 „	14,5 „
4. ზერთი	76	3638 „	115	6865 „	9,5 „	14,5 „
5. ზეგდულეთი	62	1689 „	86	4683 „	9 „	19

კოლმეურნეთა კეთილდღეობის ზრდის უფრო მკაფიო სურათს იძლევა შრომა-დღის შეფასების მიხედვით კოლმეურნეობათა დაჯგუფების ანალიზი, მოსავლის განაწილების დროს 82 კოლმეურნეობიდან, რომელთა შესახებ ცნობები შეგროვილია, 0,5 კილოგრამამდე მარცვალი შრომა-დღეზე 1932 წელს მოდის 12 კოლმეურნეობაში; 1933 წელს არც ერთ კოლმეურნეობას არ მიუღია შრომა-დღეზე 0,5 კილოგრამზე ნაკლები, 0,5 კილოგრამიდან 1 კილოგრ. 1932 წელს მიიღეს 6 კოლმეურნეობაში, ხოლო 1933 წელს 11 კოლმეურნეობაში; 1-დან 3 კილოგრამამდე, 1932 წელს —35 კოლმეურნეობაში, ხოლო 1933 წელს —42 კოლმეურნეობაში; 3-დან 5 კილოგრამამდე 1932 წელს 16 კოლმეურნეობაში, ხოლო 1933 წელს—21 კოლმეურნეობაში; 5-დან 10 კილოგრამამდე, 1932 წ.—1 კოლმ., ხოლო 1933 წელს 8 კოლმეურნეობაში.

პოლიტგანყოფილების ძირითად მიმდინარე ამოცანას წარმოადგენს შემოდგომის თესვის კამპანიის დროულად მოწყობა და ბოლშევიკურად ჩატარება. ჩვენი რაიონი საქართველოში პირველი შეუდგა თესვას 25 აგვისტოდან. პოლიტგანყოფილების მიერ ჩატარებულმა მოსამზადებელმა მუშაობამ უზრუნველყო თესვის დაწესებულ ვადებში ჩატარება. ჯერ კიდევ თესვის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ივლისის შუა რიცხვებში მოეწყო სამანქანო-სატრაქტორო სადგურის საბჭოს სხდომა კოლმეურნეობების თავმჯდომარეებთან და აგრო-უბნების დირექტორების მოადგილეებთან ერთად. ამ სხდომაზე დაწვრილებით განხილულ იქნა თესვის კამპანიასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და თესვის გეგმები თვითეული კოლმეურნეობის მიხედვით. შემდეგში გეგმების განხილვა უშუალოდ გადატანილ იქნა საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში, რათა გეგმები დაგვეყვანა თვითეულ ბრიგადამდე, რგოლამდე, კოლმეურნემდე.

პოლიტგანყოფილებამ საბრძოლო ამოცანად დაისახა ფართო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლის და აგრო-ღონისძიებების (ხვნის მაღალი ხარისხი, სათესი მასალის 100 პროცენტით გაწმენდა შეწამვლა, მწკრივად თესვა და სხვ.) განუხრელად გატარების გზით მიაღწიოს მოსავლის გადიდებას 1934 წელს. ამასთან ერთად ამოცანად დასახულ იქნა მცირემეძლებულ ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, უმთავრესად გუთნების, რემონტის, თესლის გაწმენდის და შეწამვლის და სხვ. საქმეში. ამ მხრივ ბევრმა საკოლმეურნეო უჯრედმა ბოლშევიკური ინიციატივა გამოიჩინა და არსებითი დახმარება გაუწია ერთპიროვნულ მეურნეობებს.

პოლიტგანყოფილების მიერ საშემოდგომო თესვის შედეგების წინასწარი შეჯამება ასეთ სურათს იძლევა: 25 ოქტომბრისათვის მოხვნის გეგმა შესრულებულია 99,3 პროცენტით, თესვის გეგმა 94,4 პროც., აქედან მწკრივად თესვის—49 პროც., თესლის შეგროვება 100 პროც., და სადაზღვევო ფონდების გამოყოფა—94,4 პროც., თესლის გაწმენდა—100 პროც., შეწამვლა—100 პროც.

საშემოდგომო თესვის სამუშაოთა გაშლასთან ერთად მთელ რიგ კოლმეურნეობებში თავი იჩინა კულაკურმა და ანტისახელმწიფოებრივმა ტენდენციებმა, რომლებიც მიმართულია პარტიისა და ხელისუფლების მიერ მაღალი მოსავლის უზრუნველსაყოფად დასახულ ღონისძიებათა ჩაშლისაკენ. განსაკუთრებით ძლიერ ეწინააღმდეგებოდენ მწკრივად თესვის ჩატარებას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტგანყოფილების მუშაკებმა ჩაატარეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა მწკრივად თესვის მნიშვნელობის შესახებ, ზოგიერთი კოლმეურნეობა, მინდვრის სამუშაოების დაწყებისას, ცდილობდა ჩაეშალა ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიება. ვარიანის კოლმეურნეობის ერთმა ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა კომკავშირის წევრი, სათესი მანქანების ნაცვლად გამოიყენა ძველი მამაპაპური მეთოდები და 5—6 ჰექტარი ხელით დათესა. პოლიტგანყოფილებამ მალე გამოაშკარავა ეს და სასტიკი საყვედური გამოუცხადა საკოლმეურნეო უჯრედის მდივანს ამხ. **პოლოსაშვილს**, ხოლო ბრიგადის ხელმძღვანელი მოხსნა. ეს შეცდომა გაიმეორა აგრეთვე სოფ. შართულის კოლმეურნეობამ. კოლმეურნეობებისადმი არადამაკმაყოფილებელი კონტროლისათვის დასახულ აგროღონისძიებათა გატარების საქმეში აგროუბნის დირექტორის მოადგილეს ამხ. **ნ. თომაშვილს** პოლიტგანყოფილებამ გამოუცხადა საყვედური და გააფრთხილა ყველა აგროუბანი, აგრეთვე საკოლმეურნეო უჯრედები, რომ მწკრივად თესვის ჩაშლის ცდა შეფასებული იქნება, როგორც აშკარა კულაკური აგიტაცია, მიმართული დასახულ აგრო - ღონისძიებათა ჩაშლისაკენ. ამჟამად მიღწეულია გარკვეული გარდატეხა ამ სფეროში და თვითეული კოლმეურნეობა გრძნობს პასუხისმგებლობას მწკრივად თესვის ჩატარებისათვის.

სოფ. კარალეთის კოლმეურნეობაში ზოგიერთი კომუნისტი და ნაწილობრივ თვით თავმჯდომარე ამხ. **ბერო ხარიბეგაშვილი**, კლასობრივი მტრის აგიტაციის ზეგავლენით, გამოვიდა თესლის გაწმენდის და შეწამვლის, აგრეთვე საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანების (სათესი მანქანები, ტრიერები), შემოზიდვის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდენ თესვის ჩატარებას ძველებური წესით. პოლიტგანყოფილებას მოუხდა სპეციალური მუშაობის ჩატარება უჯრედში და კოლმეურნეებს შორის, რათა ამოეფხვრა ეს კულაკური ანტისახელმწიფოებრივი განწყობილება და დაერწმუნებია ისინი ყველა დასახული აგროღონისძიების ჩატარების აუცილებლობაში. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას მიეცა სერიოზული გაფრთხილება.

კოლმეურნეებს შორის სოცშეჯიბრების და დამკვრელობის წახალისების მიზნით, პოლიტგანყოფილებამ შემოიღო გარდამავალი დროშა თესვის საუკეთესოდ ჩატარებისათვის.

პოლიტგანყოფილება ყოველივე ღონეს ხმარობს, რათა შემოდგომის თესვა დამთავრდეს დაწესებულ ვადაში—30 ოქტომბრისათვის.

სას. სამეურნეო კამპანიის არსებითი ნაწილს წარმოადგენს ჭარხლის აღების მომზადება. პოლიტგანყოფილებამ დროულად შეიმუშავა ჭარხლის აღების ორგანიზაციის კონკრეტული გეგმა და სავსებით უზრუნველყო მისი დროულად გატარება. ამ კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებისათვის ჩვენ სოცშეჯიბრებაში გამოვიწვიეთ ჭარხლის მთესავი მეზობელი რაიონები: სტალინისის და კასპის სამანქანო - სატრ. სადგურების პოლიტგანყოფილებანი. მიმდინარე წელს ჭარხლის მოსავალს კარგი პირი უჩანს. კოლმეურნეობების უმრავლესობა იძლევა 130—160 ცენტნერ ჭარხალს ჰექტარზე, საშუალოდ კი საკოლმეურნეო სექტორში მოსავლიანობა განსაზღვრულია 100—105 ცენტნერის რაოდენობით. 25 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე პოლიტგანყოფილებამ ჩაატარა ჭარხლის აღებისათვის ყველა კოლმეურნეობის მზადყოფნის ფართო შემოწმება. კომკავშირის ხაზით პოლიტგანყოფილებამ ჩაატარა რეიდი იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მზად არის ყველა ორგანიზაცია ჭარხლის გადაზიდვის და მიღებისათვის. პოლიტგანყოფილების მიერ მოწყობილმა საცდელმა გასვლამ მინდვრად ცხად-ჰყო ყველა კოლმეურნის მზადყოფნა ჭარხლის აღებისათვის. მთელი მოსამზადებელი მუშაობა პოლიტგანყოფილებამ ჩაატარა ლოზუნგით: — „ჭარხლის კარგ მოსავალს, ამოთხრის და უდანაკარგოდ გადაზიდვის კარგი ხარისხი". ჭარხლის თვითეულ ფართობზე მიმაგრებულია ბრიგადების რგოლები, ტრანსპორტი და გამოყოფილია პარტორგები ჭარხლის ამოთხრის და გადაზიდვის დამთავრებამდე. ფართოდ გაშლილია სოცშეჯიბრება აგროუბნებს, კოლმეურნეობებსა და ბრიგადებს შორის, მოწინავე ბრიგადებისათვის შემოღებულია წითელი დროშები, ჩამორჩენილთათვის ჭილოფი. გამოვიდა პოლიტგანყოფილების გაზეთის „**დამკვრელ კოლმეურნის**" პირველი ნომერი, რომელიც მიეძღვნა ჭარხლის აღების კამპანიის პრაქტიკულ ამოცანებს. 25 ოქტომბრისათვის გადაზიდულია და ჩაბარდა გორის პუნქტს 40.773 ცენტნერი ჭარხალი, ე. ი. გეგმის 77,6 პროც.

პოლიტგანყოფილების მიერ ჩატარებული მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სავსებით უზრუნველყოფს ჭარხლის ამოთხრის, გადაზიდვის და აგარის შაქრის ქარხნისათვის ჩაბარების გეგმის შესრულებას დაწესებულ ვადაში — 5 ნოემბრისათვის. ჭარხლის აღების ხაზით პირველობისათვის ბრძოლაში პოლიტგანყოფილება აბრენს მთელი პარტკომკავშირული ორგანიზაციის და ფართო საკოლმეურნეო აქტივის მობილიზაციას.

დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ პოლიტგანყოფილებამ ცალკე სასოფლო საბჭოების მუშაობის პრაქტიკაში აღმოაჩინა კლასობრივი ხაზის დამახინჯების ზოგიერთი ფაქტი. შინდისის სას. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გამდლიშვილი** მოექცა ანტისაბჭოთა ელემენტების გავლენის ქვეშ. ამ სასოფლო საბჭოში აგრო-რწმუნებულად უმთავრესად შეძლებულნი ელემენტები არიან. გამდლიშვილის სახლის პატრონი **ნასყიდაშვილი** და **ლექსო მთიულიშვილი** ყოფ. გვარდიელებია და ორივე შეძლებულია. მათ აქვთ მიღებული მტკიცე დავალებები, მგრამ სარგებლობენ აგრორწმუნებულთა შეღავათებით, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა შორის. სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების სასადილოს გამგედ საბჭოს თავმჯდომარემ დანიშნა გადასახლებიდან ამ ცოტა ხნის წინად დაბრუნებული **რჩეულიშვილი**— ყოფილი მენშევიკი, რომელთანაც თავმჯდომარე ხშირად ქეიფობდა.

რაიკომთან ურთიერთ-დამოკიდებულების სფეროში პოლიტგანყოფილებამ უნდა აღნიშნოს დახმარება და მხარის დაჭერა რაიკომის მხრით და სავსებით ნორმალური და შეთანხმებული საერთო მუშაობა. მიუხედავად ამისა, რაიკომის ყოველდღიური მუშაობის პრაქტიკაში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ პოლიტგანყოფილების მუშაობას რაიკომის ხელმძღვანელი მუშაკები და რაიონული გაზეთი დუმილით უვლიან გვერდს. ეს იმის შედეგია, რომ სავსებით გარკვეულად არ არის გაგებული საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ივნისის გადაწყვეტილება „საკოლმეურნეო უჯრედის მუშაობისა და პოლიტგანყოფილების და რაიკომის ურთიერთობის შესახებ". ეჭვს გარეშეა, რომ მუშაობის პროცესში ეს ნაკლი გამოსწორდება და ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე მოვაგვარებთ რაიკომთან სავსებით შეთანხმებულ მუშაობას პარტიის ბელადის ამხ. სტალინის იმ ისტორიული მითითების განხორციელების საქმეში, რომელიც გვავალებს „გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეურნეობად, ხოლო კოლმეურნეები შეძლებულებად".

გორის სამ. სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი **დ. აფციაური.**

საბჭოთა კავშირში

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ცნობა

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. დეკემბერში დამთავრდება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის კურსების სარედაქტორო განყოფილების სწავლების პირველი წლის მსმენელთა მიღება. განყოფილების ამოცანას შეადგენს კვალიფიციური ხელმძღვანელი მუშაკების მომზადება საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკანურ გაზეთებისათვის და მსხვილ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონების გაზეთებისთვის. შემსვლელნი უნდა აკმაყოფილებდენ შემდეგ მოთხოვნებს: ათი წლის პარტსტაჟი, საპასუხისმგებლო პარტმუშაობის და გაზეთებში მუშაობის ხუთი წლის სტაჟი, საერთო-საგანმანათლებლო მომზადება მუშფაკის ფარგლებში მაინც, ასაკი არა უმეტეს 40 წლისა. მარქსიზმ-ლენინიზმის კურსებზე სპეციალური განაწილება არ იქნება. კანდიდატების შერჩევას და დამტკიცებას აწარმოებენ საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტები. ამხანაგებს, რომელთაც სურთ სარედაქტორო განყოფილებაზე შესვლა, შეუძლიათ აგრეთვე შეიტანონ განცხადებები უშუალოდ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამანდატო კომისიაში (ადს).

ს.ს.რ.კ. ცენტრ. საკ. კომისია—მუშგლეხინმა დაამტკიცა

აზერბეიჯანის საკონტროლო კომისიის, ბაქოს საკონტროლო კომისიის და საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებანი.

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. ს. ს. რ. კ. ცენტრ. საკონტრ. კომისია — მუშგლეხინმა დაამტკიცა აზერბეიჯანის საკონტროლო კომისიის, ბაქოს საკონტროლო კომისიის და საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებანი „ლენინელის" მუშათა დახურულ კოოპერატივის კვების სექტორის გამგის ნიკოლოსოვისთვის, ბაქოს ელექტრო რკინიგზის მუშათა დახურული კოოპერატივის მომარაგების სექტორის გამგის აბდულაევისთვის, №1 მუშათა მომარაგების განყოფილების საორგანიზაციო სექტორის გამგის მუსტაფაევისთვის სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ სამსახურიდან მოხსნით; ბაქოს ელექტრორკინისგზის დირექტორის მაზელკინისთვის სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ გაფრთხილებით და „ნასტროიკეს" მუშათა დახურული კოოპერატივის მომარაგების სექტორის გამგის ჰუსეინოვის და № 1 მუშათა მომარაგების განყოფილების მომარაგების სექტორის გამგის მუსტაფაევის სამსახურიდან მოხსნის შესახებ. გარდა ამისა, უკანასკნელს ორი წლის ვადით აეკრძალა მომარაგების ორგანოებში მუშაობა (ადს).

მზადება ოქტომბრის მე-16 წლისთავისათვის

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები გაცხოველებით ემზადებიან ოქტომბრის დღეებისათვის. ოქტომბრის ზეიმისათვის მზადების პროცესში დონბასის მაღარო კოჩეგარკას იზოტოვის უბანმა № 7, ვადამდე შეასრულა წლიური დავალება. ოქტომბრის დღეებისათვის იზოტოველები გეგმის გარეშე ამზადებენ 600 ტონა ქვანახშირს.

გორლოვკას რაიონის 75-მა მგრეველმა ოქტომბრის ემალონის ფონდში შეიტანა 3.592 ტონა ქვანახშირი.

სტალინაბადის დეპოს მუშები ოქტომბრის 16 წლის თავზე რემონტიდან უშვებენ გეგმის გარეშე ორთქლმავალს და ცისტერნას, აგრეთვე დგამენ სამ ახალ სახარატო დაზგას. სავაგონო უბნის მუშებიც უშვებენ ორ ვაგონს და ერთ პლატფორმას (ადს).



ლიპეცკის (ცენტრ. შავმიწადაგიანი ოლქი) მეტალურგიული ქარხანას ექნება საკუთარი თბოელექტროცენტრალი.

სურათზე: ლიპეცკის ჰიდროელექტროცენტრალის მშენებლობა

დღეს ამუშავდება კაგანოვიჩის სახ. ქარხნის მეორე რიგი

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. 1-ლ ნოემბერს ამუშავდება მოსკოვის ლ. მ. კაგანოვიჩის სახ. სახელმწიფო ბურთობ საკისურების ქარხნის მეორე რიგი. 1933 წლის 29 მარტს ამუშავდა გიგანტის პირველი რიგი. მას შემდეგ ქარხნის კოლექტივმა დაიწყო ბრძოლა ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის საკისურების იმპორტისაგან. ამჟამად ჩვენი სატრაქტორო მრეწველობა სავსებით გადავიდა საბჭოთა საკისურებზე. მეორე რიგის ამუშავებით უკვე გადაჭარბებულია პირველი რიგის საპროექტო სიმძლავრე. ქარხანა ყოველთვიურად უშვებს 600 ათას საკისურს, ათვისებულია 46 ტიპის ურთულესი საგორგოლავე და ბურთობ საკისურების წარმოება. მეორე რიგის ამუშავება საკისურების გამოშვებას გაადიდებს 24 მილიონამდე წელიწადში. ჩატარებულმა გამოცდამ დაგვანახვა, რომ ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ქარხნის საკისურების გამძლეობა 60 პროც. აღემატება უცხოური საკისურების გამძლეობას.

საბჭოთა ავტოსატრაქტორო მრეწველობის სწრაფი ზრდა ქარხანას წინაშე აყენებს საკისურების წარმოების შემდგომი გაშლის საპასუხისმგებლო ამოცანას. ამჟამად წარმოებს ქარხნის გაფართოების პროექტის დამუშავება იმ მიზნით, რომ უკვე 1937 წელს საკისურების წლიური პროდუქცია გაიზარდოს 44 მილიონამდე. ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის პირველი სახელმწიფო ბურთობსაკისურების ქარხანა თავისი სიმძლავრით უკან მოიტოვებს ევროპის ყველა საკისურების ქარხანას ერთად აღებულს.

კაგანოვიჩის სახელობის სახელმწიფო ბურთობსაკისურების ქარხნის კოლექტივი დიდი ზეიმით აღნიშნავს მეორე რიგის ამუშავებას. ეწყობა ახალი საამქროების დათვალიერება ქარხნის და მოსკოვის სხვა საწარმოთა მუშების მიერ. საღამოს გაიმართება მეორე რიგის ამუშავებისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. ქარხანამ მრავალი მისალმება მიიღო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა საწარმოსაგან (ადს).

იზოტოველები მიდიან ოქტომბრის ზეიმზე

მოსკოვი, 29 ოქტომბერი. ოქტომბრის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვსა და ლენინგრადში მიემგზავრება ქვანახშირის მრეწველობის 50 საუკეთესო იზოტოველი. 50-ზე მეტი იზოტოველი მიემგზავრება აგრეთვე ბაქოში, ა.-კ. და ურალში. დელეგაციაში შედიან იმ მაღაროების იზოტოველები, რომელნიც ემზადებიან რა ოქტომბრისათვის, საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს საწარმოო გეგმის შესრულებაში.

მოსკოვში მოდიან დონბასის ცნობილი მაღაროელები — **ნიკიტა იზოტოვი, ანტონ მურადკო, ხვირიდოვი** და სხვ. (ადს).

გაიხსნა ა.-კ ყრილობა მეაბრეშუმეობის საკითხებზე

31 ოქტომბერს, საღამოს, ა.-კ. მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის შენობაში გაიხსნა ამიერ-კავკასიის ყრილობა მეაბრეშუმეობის საკითხებზე.

ყრილობას ესწრებიან რაიაბრეშუმების, აბრეშუმის ტრესტების, საგრენაჟო ქარხნების უკრაინის, ჩრდილოეთ კავკასიის, აზერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს, ქვემო-ვოლგის, ყირიმის, ცენტრალური შავმიწადაგიანი ოლქის, ბაშკირეთის და მოსკოვის საბჭოთა და კოლმეურნეობების წარმომადგენლები.

ყრილობას მიესალმენ რესპუბლიკების მიწსახკომების წარმომადგენლები, უკრაინის აბრეშუმის ტრესტის და საქართველოს აბრეშუმის ტრესტის დირექტორები, ბაშკირეთის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტის წარმომადგენელი და სხვ.

როგორ უნდა ჩატარდეს ოქტომბრის ზეიმი სკოლებში

განსახკომის განკარგულება სასწავლებლებში ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავის აღნიშვნის შესახებ

1. ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლებში ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავი აღინიშნოს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში უდიდესი მიღწევების ცხადყოფის და გაშლილი სოციალისტური შეტევის შემდგომი განვითარების ამოცანების საფუძველზე მშრომელთა ფართო მასების ინიციატივისა და ენტუზიაზმის შემდგომი ზრდის ნიშნის ქვეშ.

2. ზეიმთან დაკავშირებით, ყველა სკოლამ და უმაღლესმა სასწავლებელმა დაისახოს პრაქტიკულად კონკრეტული ამოცანები ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის გაუმჯობესების, სწავლების ხარისხის ამაღლებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცების მიმართულებით და მიმდინარე სასწავლო წელი აქციოს გადამწყვეტად სკოლის „ძირითადი ნაკლის" აღმოფხვრისა და სასკოლო მუშაობის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში.

3. 16 წლისთავთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა სასწავლებლების ჯგუფებსა და კურსებზე ჩვეულებრივი პროგრამით სისტემატიური მუშაობის ხაზით ჩატარდეს გეგმისა და ცხრილის დარღვევის გარეშე.

4. ყველა სასწავლებლებსა, პიონერ-ორგანიზაციებში და სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში, მოეწყოს მხატვრულად გაფორმებული დილა ან საღამო, ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მშრომელთა მოწვევით—სათანადო მოხსენებით და მხატვრული ნაწილით (წარმოდგენა, მუსიკა, სალიტერატ. ნაწილი, სპეციალური კედლის გაზეთი და სხვა).

5. წინადადება მიეცეს სასკოლო სამმართველოს, სკოლის ასაკამდე აღზრდის განყოფილებას და მასწავლებელთა მომზადების სამმართველოს, ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავის აღსანიშნავად გახსნან გეგმით გათვალისწინებული ახალი სკოლები და სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებანი.

6. წინადადება მიეცეს ყველა სათეატრო და მასობრივ სანახაობათა დაწესებულებებს უზრუნველყონ სათანადო დადგმების ორგანიზაცია 16 წლისთავთან დაკავშირებით და გაუწიონ ამ დღისათვის მომსახურეობა საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს.

7. დაევალოს თეატრებისა და მასობრივ სანახაობათა სამმართველოს და რაიონული განათლების განყოფილებებს, ცენტრალურ და რაიონულ კომისიებთან ერთად, მხატვრულად გააფორმონ მოედნები, ქუჩები, სახლები, ჩააბან მუშაობაში საუკეთესო მხატვრები და მოქანდაკენი. დაევალოს სასწავლებლებს მიიღონ მონაწილეობა, როგორც დემონსტრაციებში, ისე ზეიმის მხატვრულ გაფორმებაში.

განსახკომის მოადგილე—
გორდელაძე.

სასამართლო

კოლმეურნეობის ქონების გამნიავებლებმა ღირსეული სასჯელი უნდა მიიღონ

მიმდინარე წლის 9 სექტემბერს გაზ. „კომუნისტში" მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „იქ, სადაც კოლმეურნეობას ხელმძღვანელობენ კლასობრივი მტრის აგენტები", რომელშიც აღნიშნული იყო სოფ. ოძისისა და მჭადიჯვრის კოლმეურნეობების ქონების განიავებისა და მითვისების აღმაშფოთებელი ფაქტები. ამ წერილისა და საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის სამდივნოს დადგენილების საფუძველზე პროკურატურამ წინასწარ გამოძიებით შეამოწმა წერილის სინამდვილე და გამოირკვა შემდეგი:

ოძისის, ამხ. მამია ორახელაშვილის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **მ. მელაძე** სისტემატიურად ფლანგავდა და ანადგურებდა მეურნეობის ქონებას. მან 1932-33 წელს, სალაროდან გამოიტანა 890 მანეთი და მიითვისა, გასულ წელს სოფ. ბაქაქურებში მცხოვრებ გლეხებს დაურიგა ობლიგაციები, რომელთა ღირებულება წინასწარ გამოართვა, რამდენიმე დღის შემდეგ გაცემული ობლიგაციები გლეხებს ჩამოართვა, აღებული ფული კი მიითვისა. ყოფ. ერისთავის სასახლის ბეღელი მელაძის უკანონო განკარგულებით დაარღვიეს. ნაწილი ბეღლისა კი გაყიდეს 120 მანეთად.

მ. მელაძემ კოლმეურნეობის წევრებს შორის მოაწყო დაჯგუფება. იმ ჯგუფის წევრებს, რომელთაც თვითონ მეთაურობდა, აძლევდა მათ მიერ გამომუშავებულ შრომა-დღეებზე კუთვნილ ხელფასს, მოწინააღმდეგე ჯგუფის კოლმეურნეებს კი განგებ უკარგავდა ხელფასს. ი. ნავროზაშვილს გასულ წელს 134 შრომა-დღისა სრულებით არ მისცა. გ. ოქრუაშვილს არ მისცა კუთვნილი ხელფასი: სამი ვედრო ღვინო, ხუთი ფუთი სიმინდი და სხვა პროდუქტები. ასეთ ქმედობას მელაძის მხრივ სისტემატიური ხასიათი ჰქონდა.

ა.-წ. იანვარს კოლმეურნეობამ დუშეთის რაიკოოპკავშირს მიჰყიდა 100 კოკა ღვინო, კოკა 200 მანეთად, სულ უნდა მიეღო 20.000 მანეთი. მელაძემ ფულად მიიღო 2484 მანეთი და 17,580 მანეთი და 80 კაპ. სამრეწველო საქონელი. ამ თანხიდან 1800 მანეთი მიითვისა და გაფლანგა, მელაძემ, სრულიად უკანონოდ გასცა კოლმეურნეებზე 20 ვედრო ღვინო და ამას გარდა თვითონ მიითვისა 20 ვედრო ღვინო.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე მელაძის განკარგულებით კოლმეურნეობის ღვინის სარდაფიდან თავის ძმა-ბიძებზე გაცემულია 1.639 მანეთი. აღნიშნული თანხა მელაძეს ჩაეთვალა გაფლანგულად. სულ გაფლანგული აქვს 4.709 მანეთი და 48 კაპ. საქმის გამოძიების პროცესში დაფარა 1 600 მან. დაუფარავი დარჩა 3.104 მან. 48 კაპ. ამის გარდა მელაძე სხვის ბოროტმოქმედებასაც ჩქმალავდა.

კოლმეურნეობის საწყობის გამგეს **ი. გაბრიელაშვილს** ბრალდება საწყობიდან 1 564 მან. და 28 კაპ. გაფლანგვა. 14 გირ. თაფლის, 11 გირ. შაქრის, ნახევარი ვედრო არაყის და სხვა პროდუქტების მითვისება. მესამე ბრალდებულმა **ხეთისო კაჭიურმა** კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეობის ასრულების დროს გაფლანგა 1.133 მანეთი. იგი არავითარ რევიზიას არ უწევდა კოლმეურნეობის ბუხალტერიას, რითაც ხელს უწყობდა კოლმეურნეობაში ბოროტმოქმედების ჩადენას და სხვ.

დ. ფარნიშვილს ბრალი ედება იმაში, რომ მან მოლარედ ყოფნისას, მიითვისა და გაფლანგა 3.205 მანეთი.

ივანე ილურიძემ, ყოფ. ღვინის საწყობის გამგემ, მიითვისა და გაფლანგა 2,058 მან.

ალ. ბექანიშვილმა, მჭადიჯვრის კოლმეურნეობის ყოფ. თავმჯდომარემ, მიითვისა და გაფლანგა 3.086 მანეთი.

იოსებ ფოთალიშვილს, მჭადიჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეს, ბრალად ედება 688 მან. და 64 კაპ. გაფლანგვა. კოლმეურნეობის წევრებს ლუდუშაურს, დავითაურს, მახარაშვილს და ობრუაშვილს ავანსად მისცა თითო ფუთი ხორბალი, ჩამოართვა კი ორ-ორი ფუთი ხორბლის ხელწერილი.

მერვე ბრალდებულს **დ. როსტიაშვილს,** ოძისის კოლმეურნეობის მოანგარიშეს, ბრალად ედება სამსახურისადმი გულგრილობა, რის გამოც კოლმეურნეობაში ანგარიშწარმოება ქაოტურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან მიითვისა და გაფლანგა 420 მან.

ბრალდებულთა საქმეების გასამართლება დაიწყება ა.-წ. 5 ნოემბერს სოფ. მჭადიჯვარში (დუშეთის რაიონი). საქმეს გაარჩევს საქ. უზენაეს სასამართლოს გამსვლელი სესია, **რ. კალანდაძის** თავმჯდომარეობით.

ა. შ.

ფიზკულტურა და სპორტი

ფიზკულტურული აღლუმისათვის მზადების გენერალური საცდელი დემონსტრაცია კარგად ჩატარდა

8 ნოემბერს პროლეტარულ ფიზკულტურის ათი წლისთავის აღსანიშნავად ტფილისში ტარდება დიდი ფიზკულტურული აღლუმი. ამ დღის სათანადოთ ჩატარებისათვის ფიზკულტურული ორგანიზაციები დიდი ხანია შეუდგნენ მზადებას. ტფილისის რაიონებს მიცემული აქვთ საკონტროლო დავალება. 24 ოქტომბერს აღლუმისათვის მოსამზადებელი მუშაობის შესამოწმებლად ჩატარებული იყო ფიზკულტურული დემონსტრაცია რაიონების მიხედვით, რომელმაც დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა. 30 ოქტომბერს ლენინის სახელობის სტადიონზე ჩატარდა გენერალური საცდელი დემონსტრაცია ტფილისის ყველა რაიონის ფიზკულტურელებისა. ფიზკულტურული კოლონები გამოსული იყვნენ რაიონების მიხედვით. ლენინის რაიონიდან 4.800 ფიზკულტურელი, „26" კომუნარის სახელობის რაიონიდან 4000 ფიზკულტურელი, სტალინის რაიონიდან 5000 ფიზკულტურელი, ორჯონიკიძის რაიონიდან კი—8000 ფიზკულტურელი.

ამ საცდელმა დემონსტრაციამ და დათვალიერებამ გამოარკვია, რომ განვლილი მუშაობის შედეგად ყველაზე მომზადებული, როგორც ორგანიზაციულად, ისე ხარისხის მხრივ აღმოჩნდა ორჯონიკიძის სახელობის რაიონი. შემდეგ ლენინის რაიონი და სხვ. აღლუმისათვის მზადება, ახლა უფრო გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს ადგილებზე. მეცადინეობაზე დასწრება ფრიად დამაკმაყოფილებელია.

ლენინის სახელობის სტადიონი: სურათზე ქვემოდ ფიზკულტურელთა გენერალური საცდელი დემონსტრაცია. ზევით— ფიზკულტურული აღლუმის შტაბის უფროსი ამხ. ვ. კიკნაძე იღებს პატაკს ამხ. ახალაძისაგან (ლენრაოლი).

ჭადრაკი

მაესტროთა შეჯიბრება

31 ოქტომბერს გათამაშებულ იქნა შეჯიბრების პირველი რკალიდან ალატორცევის ავათმყოფობის გამო გადადებული მისი პარტია ებრალიძესთან. უკანასკნელმა შავებით ლაზიერის პაიკთა დებიუტის წინააღმდეგ, ორტოდოქსალური დაცვა აირჩია, სადაც ალატორცევმა თავის მიერ დამუშავებული გაგრძელება იხმარა, რაშიაც ვერ გაერკვია ებრალიძე, ჩქარა ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში და სრული განადგურების მუქარის ქვეშ იძულებული გახდა დანებებულიყო. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამავე ვარიანტით ალატორცევმა მოუგო რაგოზინს.

ამრიგად ალატორცევს აქვს უკვე 6 ქულა და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ორ გადადებულ პარტიაში მას ქულა-ნახევარი განაღდებული აქვს, ცხადი გახდება, რომ საქ-თის პირველობისათვის მეტად მწვავე სდგას.

დღეს, 2 ნოემბერს საღამოს სრულ 5 საათზე ცენტრალურ საჭადრაკო სამუშაო ბაზში გათამაშდება მეორე რკალის მორიგი მეექვსე ტური. ითამაშებენ: გოგლიძე—კასპარიანი, ალატორცევი— მ. მაკაგონოვი, სავიცკი— ებრალიძე და ვ. მაკაგონოვი—სოროკინი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

2 ნოემბერს დღის 3 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპში ამხ. ორაგველიძე'თან შესდგება თათბირი, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ მთავლიტის ყველა მუშაკი და რწმუნებულები, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, გამომცემლობათა მთავარი რედაქტორები, ამხ. ჩაუსკი (საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის კულტპროპგანყოფილება), ტფ. კომიტეტის კულტპროპგანყოფილების გამგე და აგრეთვე ამხ. ტოროშელიძე და დ. დემეტრაძე.

2 ნოემბერს დღის 12 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ში ამხ. გარსევანოვთან (ოთახი № 71) გამოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: ანდრონაძე (განსახკომი), ბაბაიანი (ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), ბუნიატოვა (ა.-კ. ცაკი), გალდავა (აბრეშუმის ტრესტის კავშირი), გნოლიძე (დტს), დომენია და დოლიძე (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი), ჯელაღონია, ჯახუა (ორჯონიკიძის სახ. რაიკომი), ჯიბუტი (საქ. ცაკი), ქართველიშვილი (საქ. მსუბ. მრეწვ. კომისარიატი), კუპატაძე (სტალინის სახ. რაიკომი), მელიქაძე, ნადირაშვილი (ა.-კ. სახ. პოლიტსამმართველო), ნანიტაშვილი, ტურაშვილი (ბინათ კავშირი), ჩარკვიანი ნინა (ც. კ-ი), ჩიჩუა.

დღეს, 2 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ტფილისში, საქართველოს მუზეუმის დარბაზში (შესავალი კალოუბნის ქუჩიდან № 1)

იხსნება

კონფერენცია ალუმინის საკითხებზე

დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და პირებმა, რომელთაც არ მიუღიათ მოსაწვევი ბარათები, უნდა მიმართონ საქართველოს მძიმე მრეწველობის სახკომისარიატს (პუშკინის ქ. № 3, მე-3 სართული, ოთახი № 1), ხოლო კონფერენციის გახსნის წინ სხდომის დარბაზის შესავალში.

საახ. ოპერა	დღეს მე-10 აბონ. 3 წ.	3 ნოემბერს მე-8 აბონ. 3 წარმ.	4 ნოემბერს 4 აბონ. 4 წარ
	პიკის ქალი	სევილ. დალაქი	ტრილბი

მეოთხე მორიგი შესატანის უკანასკნელი ვადა ყველა აბონემენტებზე არის **5 ნოემბერი.**
სალარო ღიაა დღისით 11-დან 2 საათამდე, საღამოთი 6-დან 8 საათამდე. 21

რუსთ. თეატრი სახელ. ახმეტელის ხელმძღვანელობით 1933—34 წ.	2 ნოემბერს 11 აბონ. 1 წარ.	3 ნოემბერს 14 აბონ. 1 წარ.	5 ნოემბერს 15 აბონ. 1 წარ
	ქართა ქალაქი	ზამგუქ	ზამგუქ

სალარო ღიაა 11—2, 6—9 საათამდე.
დასაწყისი 8 ს. ნ. 40

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი		2 ნოემბერს 8 აბონ. 1 წარ.	3 ნოემბერს 13 აბონ. 1 წარ.
		მზის დაბნელება საქართ.	ურიელ აკოსტა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11 ს.—12 ს. საღამოს 6 ს.—10 ს. პირველი წარმოდგენაზე დასასწრებლად შემოტ. უნდა იქნეს მე-2 გადასახადი. ნ. 406

საქკინმრეწვის კინო-თეატრები

ტემპი 6, 7-30, 9, 10-30	კომ. **როცა ილვიძებენ მკვდრები** პრ. გარ ჟურ. „სსრკ-ის სადარაჯოზე № 8
ოქტომბერი—დღისით სეან. 12, 1-30, 3	მხ. კომ **ნამდვილი კავკასიელი** პრ. გარ. საქკინმრეწვის ჟურ. № 13
რ. ლიუქსემბურგის 6-30, 8-30, 10-30	მხ. ისტ. ფ. **კაპიტანის ქალიშვილი** პრ. გარეშე—ხმოვანი ჟურნალი № 21
დამკვრელი ზამთრის 6, 7-30, 9, 10-30.	ახ. ამერ კომედ. საღამო: 1. **ჯამბაზი,** 2. **შვილობილი, 3. მყუდრო ოჯახი**
ოქტომბერი—ხმოვანი 6-30, 8-30, 10-30.	ხმოვ. ფილ. **საუკეთესო სიცოცხლე** პრ. გარ. ხმოვ. ჟურნალი № 24
სპარტაკი 6, 7-30 9, 10-30	მხატ. ფილმი **ჯვარი და მაუზერი** პრ. გარეშე—კომკავშ. თაოსნობა
26-ის სახელობის (ავლაბარში) 7-30. 9, 10-30	ისტ. ფილმი **ბულატ ბატორი** პრ. გარ —ჟურნ. საბჭ. საქ. № 14
მეცნიერება და ტექნიკა 6, 9-30	ფილმი საზკვების შესახებ **გაამოს** პროგ. გარ. სოიუზკინოს ჟურ. № 24.
საბავშო კინო დღის 12 და 2 საათზე	საბავშო ფილ. **გარი პოლიტიკოსობს** პრ. გარეშე ჟურნალი პიონერი

ქ. ტფილისის გაერთ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ნ. ი. იზორია

ამით აცხადებს, რომ 1933 წ. 5 ნოემბერს, დღის 2 საათზე, ქ. ტფილისში კ. ცეტკინის ქუჩაზე 153 №-ის სახლში

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

არტელ „სტროიკოოპ"-ის ქონებას:

ფანჯრის ჩარჩოებს (რამკებს) 2400 დიდი და 1000 პატარა ცალს.

ქონება შეფასებულია 5300 მან. და გაიყიდება მკერავტრესტის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად სახ. არბიტრის 1933 წ. 22 ივნ. № 449-ით გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა. 12

ა-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 2 ნოემბერს დღის 2 საათზე დანიშნულია ყველა ფაკულტეტების სტუდენტ დიპლომანტების საერთო კრება

სამთო და ქიმიურ ფაკულტეტებისათვის—სამოსწავლო შეს. № 2/4, ენერგეტიული და საამშენებლო ფაკულტეტების—არსენალის მთა.

დასწრება ყველასათვის დაუგვიანებლივ სავალდებულოა.

ნ. 454 დირექცია

საფეიქრო ტრესტის ტფილისის სასწავლო-საწარმოო კომბინატი

აგრძელებს მოწაფეთა მიღებას საფაბრიკო საქარხნო სკოლაში 1933—34 სამოსწავლო წლისათვის 10—ნოემბრამდე.

სკოლა ამზადებს საფეიქრო მრეწველობისათვის კვალიფიციურ კადრებს შემდეგი პროფილების მიხედვით: 1) ქსოვა 2) დართვა მაუდის 3) დართვა კამვოლური.

სკოლაში მიიღებიან მშრომელი ახალგაზრდობა ორივე სქესისა 15 წლის ზევით, პირველ რიგში მუშების და კოლმეურნე გლეხის შვილები. მიღების დროს უპირატესობა ეძლევათ შვიდწლედ დამთავრებულებს. სწავლების ვადა ნახევარ წელიწადია.

სკოლაში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან ხელფასით 45 მან. რაოდენობით, დახურული სასადილოთი, დახურული მუშათა კოოპერატივით, ტრამვაის ბილეთებით და გათანასწორებულნი იქნებიან ყოველგვარი უფლებებით საფეიქრო მრეწველობის მუშებთან, მიღებულ მოწაფეთა 50 პროც. უზრუნველყოფილი იქნება საერთო საცხოვრებლით. საფ.-საქ. სკოლის კურს დამთავრებულთ საშუალება ექნებათ წარმოებიდან მოუწყვეტლივ განაგრძონ სწავლა მუშათა საფეიქრო ტექნიკუმში, რომელიც კომბინატთან იქნება მოთავსებული.

განცხადებებთან ერთად წარმოდგენილი იქნეს შემდეგი საბუთები: 1) განათლების 2) წლოვანების, 3) სოც. მდგომარეობის 4) ჯანმრთელობის.

განცხადებების მიღება იწარმოებს 5-ნოემბრამდე, კომბინატის შენობაში, ბრძოლის ქ. (მაუდის ფაბრიკის გვერდით) ყოველ დღე 3 საათამდე, აქვე შეიძლება დაწვრილებითი პირობების გაგებაც.

დირექცია

საქ. ღარიბკომთან არსებულ ამხ. ლ. ბერიას სახ. მშრომელ ებრაელთა კულტურის სახლთან დაარსებული

ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი

(1-ლ მაისის ქ. № 10, (ყოფ. კატოლიკების)

შეუდგა საქ. ებრაელთა ცხოვრებიდან ექსპონატების ყიდვას.

ექსპონატების შეძენა სწარმოებს ყოველდღიურად დღისით 11—2 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე.

მიმართეთ ამხ. ბენოს ან კრიხელს.

ნ. 349 4—3 **საექსპერტო სამეცნიერო სექტორი.**

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული საშარდე-სასქესო ორგანოების. სიფილ. და კანის ავადმყოფ. დილ. 9—12 ს. საღ. 6—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" ყ. „ნოე"-ს) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახ. № 8.
10—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს ავადმყოფებს დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს.
მისამართი კამოს ქ. № 72 (ყ. დიდი მთავრის ქ.) ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპ.
15—1-

ღრმად დამწუხრებული შვილები: გიორგი, ელეფთერი, მარო, ნადია, თეოდორა ქმარშვილით იუწყებიან, რომ ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

თეოფილე ონოფრეს-ძე ხურციძე

დასაფლავება 2 ნოემბერს ს. ინაშაურში. 29

კურორტოლოგიისა და ფიზიო-თერაპიის სახელმწიფო ინსტიტუტმა

მიხა ცხაკაიას სახ. (ლენინის ქ. № 49, ტელ. № 15-87)

კაპიტალურ შეკეთების შემდეგ განაახლა მუშაობა ყველა სახის ფიზიკური მეთოდებით: სითბო-სინათლის და ელექტრო-თერაპიული კაბინეტები, ტალახით სამკურნალო, წყლის განყოფილებანი, ნახშირმჟავა აბაზანები ინალე ციით, მასაჟი მექანო თერაპიით. რენდგენო-დიაგნოსტიური და რენდგენო თერაპევტიული კაბინეტები, კლინიკო ლაბორატორიული და ბიო-ქიმიური გამოკვლევანი,

მიღება ავათმყოფებისა—დილ. 9 საათიდან 1-ნახ. საათამდე, საღამოს 5—9 საათამდე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა. პოლიკლინიკაში სწარმოებ მიღება ყველა სპეციალისტების მიერ: **შინაგანი, ნერვიული, გინეკოლოგიური, ბავშთა, კანის და ვენერიული, ყელი-ყური, ცხვირის, ქირურგიული, პირის ღრუს და კბილის სნეულებანი. მკურნალობა, როგორც ამბულატორიული, ისე კლინიკო სტაციონარული.**

მიიღებიან აგრეთვე ფასიანი ავათმყოფები. 670

მცირე მცოდნეებს და ჩამორჩენილებს ვაძლევ რუსული ენის და დაწყებითი მათემატიკის გაკვეთილებს.

პლეხანოვის პროსპ. № 80, ბინა 9, **კალიაევი,** 10-დან 1-მდე და 5 დან 8 საათამდე
2—1 2

ექიმი
დ. ლ. თევზაძე
განაახლა ავადმყოფების მიღება ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი, მომღერლობანი ხმის და მეტყველებისა ბრონხო-ეზოფაგოსკოპია.
მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 ს. ჰონქაძის ქუჩა (ყოფ. გუდოვიჩის) № 9 სოლოლაკი. ტელ. 5—94

კოოპერატივის წიგნაკები

კონსტანტინე ალიბეგაშვილის. ივანე კაცაძის

სხვა და სხვა:

საგადასახადო უწყისი № 20 იოსებ ბატონიაშვილის. მბეჭდავთა დახურულ კოოპ. საწევრო წიგნაკი ქსენია ივანეს ასულ ნოდიასი. № 29

დამწუხრებულნი ბებია ნინა, ბაბუა დიმიტრი, შვილებით: ქსენია, შუშანიკა, ბაბილინა. გრიშა, სანდრო, მიშა, გიგლა, შოთა სილაგავები, სიძეები გოგი. ვანო შვილით გურამით ცხარე ცრემლით დავსტირით

პატარა შიუშლის

ცხედარს. 19

სამუდამოდ გულმოკლული ბებია ტერეზა ქუთათელაძისა, ზინა შვილებით: ქსენია, ვალუშა, ტიტო, ჩიტო ლორთქიფანიძეები ცხარე ცრემლით დავსტირით

პატარა შიუშლის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ქ. ხონში შაბათს 4 ნოემბერს. 19

შვილი კონსტანტინე ოჯახით, მარინე, ჰიკო, ნინა და ლამარა აუწყებს საზოგადოებას თავისი მამის

ლუკა გიორგის-ძე ცერცვაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში დღეს. 22

ალექსანდრე და ელენე შვილებით: მოთიკო და მერით, ნინა და გოგი კიკნაძეები ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ მათი საყვარელი ბიძის

ვანო ანდრიას-ძე კიკნაძის

გარდაცვალების გამო. 11

დამწუხრებული მშობლები: სტეფანე, სოფიო, დები: ნადია, მარო თამარა, ძმა ალექსანდრე, ძალო სონა შვილებით: გიორგი, შოთა. ნინა ხარიტონაშვილები იუწყებიან, რომ 7 ნოემბერს ს. ვეჯინში დანიშნულია

სევერიან ხარიტონაშვილის

სამოქალაქო პანაშვიდი. 694

საქ. ტრესტი „საქ. ჩაი"-ს საგეგმო საფინანსო სექტორი თანაგრძნობას უცხადებს ამავე სექტორის თანამშრომელს ნიკოლოზ ცერცვაძეს მისი მამის

ლუკა გიორგის-ძე ცერცვაძის

გარდაცვალების გამო. 20

დამწუხრებული მშობლები: სტეფანე, მაშო, ცოლი კალისა, და ნინა, სიძე დავით ურუშაძე შვილებით, დეიდა ტასია, ათინო, პუჭუ დავსტირით ძვირფას

ძუკუ (სპირიდონ) ჯანჯღავას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. სოხუმში 3 ნოემბერს. 8

მიტუშა ზალდასტანიშვილი თავის მშობლებით და შვილი ბულათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 30 ოქტომბერს ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ელენე ზალდასტანიშვილისა

დაკრძალვა დღეს, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება გოგოლის ქ. № 48. 9

გულდაწყვეტილი დედა მარიამი, და ქეთევანი, მამიდა ნინო ყიფშიძე ქმარშვილით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 30 ოქტომბერს გარდაიცვალა

ელიკო თოიძე-ზალდასტანიშვილისა

გამოსვენება დღეს, 4 ს. გოგოლევის ქ. № 48. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 16

ნინა, ვასო და რეზიკო ჭკუასელიძე მთელი ოჯახის შემადგენლობით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ალიოშა ჭიჭინაძის საყვარელი შვილის

პატარა ბელას

უდროოდ დაკარგვის გამო 15

სამტრესტის ადგილკომი, სპეციალისტები და მუშა-მოსამსახურენი მწუხარებას გამოსთქვამენ ტრესტის საიდუმლო განყოფილების უფროს ვარლამ ლეჟავას მამის

ლევანის

გარდაცვალების გამო. 4

შვილები: ანა, კონსტანტინე, აკაკი, ევგენი, ალექსი და ნიკოლოზ ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ ქუთაისში 30 ოქტ. გარდაიცვალა მათვის ძვირფასი მამა

ლუკა გიორგის-ძე ცერცვაძე

დაკრძალვა ქ. ქუთაისში 2 ნოემბ. 711

გაუბედურებული მშობლები: ირინე, ანტონი, დები: ოლია, ნადია მეუღლით ბიქტორით ძმა ვანო მეუღლით მარუსიათი ნიქაბაძეები იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ

კოწია ნიქაბაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება ქუთაისში 3 ნოემბერს. გამოსვენება ნინოშვილის ქ. № 138. 5

გაუბედურებული დედა ანიჩკა შვილებით, ბებია მინა, ბიძები: აკაკი, ევსიხი და ლადო ცინცაძეები ცოლშვილით დავსტირით საყვარელ

ლევან (ლიოვა) ცინცაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 4 ს. ტყის შეს. № 35 (ჭავჭავაძის ქუჩის ბოლო) ვერის სასაფლაოზე. 6

მე 32 ათწლედის თანამშრომლები: პ. ვაშაკიძე, ლ შატბერაშვილი, ნ. კობახიძე, ნ სამადაშვილი, ა. თუხარელი, გ. ჯანიაშვილი, გ. სადღაშვილი ლ. ვეფხვაძე, დ. გოგიჩაძე, ბასილაშვილი, ნ. კუჭუხიძე მწუხარებით იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის

ელენე სოლომონის ასული ბილანიშვილის

გარდაცვალებას. 14

მ. გავაშელი, ლ. ცომაია, პ. ჩარექიშვილი, ბ. ელიგულაშვილი, კ. ჩიმაკძე, ელ. ანდრიაშვილი, ნ. ცინცაძე, ერ. ძისაბიშვილი, ს. ნაცვლიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათი ამხანაგის და თანამშრომლის გიორგი მახარაძის მეუღლის

თამარ ყანჩელი-მახარაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 7

დამწუხრებულნი: დედა მარიამი, ძმები: ვანო, მიშა, და ნინა, რძალი ნადია პატარა ჯუანმერით იუწყებიან, რომ 2 ნოემბერს 4 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია მათი უსაყვარლეს

შალვა დავითის-ძე როსტიაშვილის

სამოქალაქო პანაშვიდი. 10

მშობლები: კოლია, მატრონა, ძმები: ჰიჰიკო, ვანო, დები: ანა, ნინა, ოლია, კატუშა, რძლები: ჟენია, მარო, სიძეები: გენადი, ისაკო, გრიგოლი იუწყებიან, რომ 7 ნოემბერს ს. საწულუკიძეში დანიშნულია

ზინა შუბლაძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 3

სამტრესტის საქ. კ. პ. (ბ) კომუჯრედის ბიურო აუწყებს საზოგადოებას რომ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკის, ამავე ტრესტის საიდუმლო განყოფილების უფროსის ვარლამ ლეჟავას მამა

ლევანი

დასაფლავება სოფ. სორტაში (ძველი სენაკი) 2 ნოემბერს, 4

დამწუხრებულნი მეუღლე პაშა, შვილები: შალიკო კაკო, ტუტუშა და რძალი თამარი იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მიტროფანე იოსების-ძე ნემსაძე

დაკრძალვა ს. მარანში 2 ნოემბერს. 18

ღრმად დამწუხრებულნი: ქალიშვილი თალიკო, სიძე ვალოდია დედით ნატალია ქილარჯიშვილები იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

მიტროფანე ნემსაძე

დაკრძალვა დღეს ს. მარანში. 18

სამუდამოდ დამწუხრებული მშობლები თომა და ვალია სილაგავები აუწყებენ ნაცნობმეგობრებს მათი სიამაყის ერთად ერთი შვილის

პატარა შიუშლის

უდროოდ დაკარგვას დაკრძალვა ქ ხონში შაბათს 4 ნოემბერს. 19

სამუდამოთ გულმოკლული დედა მაია, დები: ლუბა, ივდითი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 4 ნოემბერს ს. მათხოჯში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათი უსაყვარლესი

მარო იოსების-ას. დოჭვერი-კარაულოვის

ხსოვნის აღსანიშნავად. 13

მერი (ჭუტუ) და ვლადიმერ წულუკიძეები დასტირიან ძვირფასი ადამიანის

თამარა იოსელიანის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 2 ნოემბერს ქ. ქუთაისში ოლასკურას სასაფლაოზე. გამოსვენება ზდანოვიჩის ქ. № 63. 19

მე-32 პოლიტ-ათწლედის თანამშრომლები: გ. რუხაძე, კ. გიორხელიძე, თ. კახიანი, ი. დარსაველიძე, ა. სიმონია, ნ. კუჭავა. კ. დონაძე. ე. გუბელაძე. დ. კიკნაძე, კ. ბახტაძე მწუხარებით იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის

ელენე სოლომ. ას. ბილანიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 3 ნოემბერს 4 ს. ორჯონიკიძის № 40-ბ. 14

დამწუხრებული მშობლები: პლატონი, ოლღა აპამუკლერი, ბიძა იასონი, დეიდა ჟუჟუნა შვილებით თოხაძეები იუწყებიან მათთვის საყვარელ

დიმიტრი (დიტო) ამაშუკელის

გარდაცვალებას. გამოსვენება 3 ნოემბერს 4 ს. კლდიაშვილის ქ. № 2. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 1

თავზარდაცემული შვილები: ნიკოლოზ, ვალერიან, ბესარიონ, ვერა, ნინო, თავიანთი ოჯახობით უსაზღვრო მწუხარებით იუწყებიან საყვარელი და დაუვიწყარი დედის

ეკატერინე ჩიმბოგიძის

გარდაცვალებას

დაკრძალვა სოფ. ინტაბუეთში. 704

მე 32 პოლიტექნიკური ათწლედის პედაგოგიური და მშობელთა დამხმარე საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თანამშრომლის, დამსახურებული მასწავლებლის

ელენე სოლომ.-ას. ბილანიშვილის

გარდაცვალების გამო. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 7 ს.

700

პროფ. მიხეილ შალამბერიძე მეუღლე ანტათი ღრმა მწუხარებით იუწყება მშობლიურად მზრუნველ ყრმობის მასწავლებლის

ივანე გიორგის-ძე რატიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 2 ნოემბერს საღ. 4 ნახ. საათზე, ჯორჯაძის ქუჩა № 2. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 25

ღრმად დამწუხრებულნი: მამა ისიდორე, ძმა ვალიკო ნიორაძეები იუწყებიან ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ მათთვის საყვარელ

ოლია ნიორაძის

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 ს. გოგოლის ქ. № 57, დაკრძალვა 3 ნოემბერს 4-ნახ. ს. ვერის სასაფლაოზე. 26

სამედიცინო ინსტიტუტის კკ ბ/კოლექტივი და კკ ორგანიზაცია მწუხარებას გამოსთქვამს ამავე ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტის კკ ბ/კოლექტივის მდივნის ამხ. ელეფთერ ხურციძის მამის

თეოფილე ხურციძის

გარდაცვალების გამო. 28

ოლია, ალიოშა თაყაიშვილი, ფატმან, მიშა მენაბდე, ძადლენა, ანტონ გვაზავა გულითად მწუხარებას გამოსთქვამენ საყვარელი სიძის შალვა ლეჟავას მამის

ლევან ლეჟავას

გარდაცვალების გამო. 21